საკითო ბაჯები

№35 (674)
ოთხშაბათი
26 ოქტომბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

წუხელ მესიზმრა

მესიზმრა, თითქოს ჩიტი ვიყავი
და ღამის ფერმკრთალ ცაში დავფრენდი,
ვარსკვლავებს შორის დავფრენდი დიდხანს
და ცხადად ვგრძნობდი მათ სიმხურვალეს,
ხოლო ღრუბლები, მთვარის სხივებით
განათებული ყვითლად ღრუბლები
დაფარფატებდნენ ჩემს ქვემოთ მშვიდად,
ვით კუნძულები ფერად-ფერადი
ოკეანეში მოხეტიალე,
ჩიტი ვიყავი, მაგრამ სიზმარში
ისიც მახსოვდა თუ ვინ ვიყავი –
მახსოვდა ჩემი გვარიც, სახელიც
და დაბადების წელიც მახსოვდა,
ისიც მახსოვდა, რომ მიტოვებულ
დედამიწაზე დამრჩა შვილები –
უსაყვარლესი ჩემი ბარტყები,
რომლებიც ალბათ მეძახდნენ ახლა,
მეძახდნენ, წუხდნენ და მომელოდნენ.
მე კი, მე ახლა ჩიტი ვიყავი
და საქართველოს ცაზე დავფრენდი,
ქვემოთ ვერცხლისფრად ჩანდა მყინვარი,
იქით უჯარმა და ალავერდი.
აი, ეს იყო ჩემი სამშობლო,
ეს რუხის ციხე და ეს გელათი,
გულისტკივილით ვისაც განვშორდი,
ცა კი საერთო იყო ყველასთვის.
ყველას მამული საყოველთაო,
რომ არ ეკუთვნის ცალკე არავის,
ქვემოთ ელავდა ჩემი კვეტარი
და გუგუნებდა ჩემი არაგვი.
... წუხელ მესიზმრა:
ჩიტი ვიყავი და საქართველოს ცაზე
დავფრენდი,
დიდხანს დავფრენდი და დავიღალე
და შემეშინდა, რომ ვერასოდეს
ვერ მივაღწევდი დედამიწამდე
და ამ შორეულ და ამ უდაბურ
ცის უღრანებში ჩავინთქმებოდი.
მე შემეშინდა ცაში სიკვდილის,
არავისი და არვის მხარეში და
მთვარის სხივთა სინარნარეში
სამშობლოსაკენ დაბლა დავეშვი.
თუ სამშობლომდე ვერ მივაღწევდი,
თუ ვერ ვნახავდი საყვარელ გამზრდელს,
აქ სიკვდილს მაინც სჯობდა სიკვდილი
სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე...
წუხელ მესიზმრა...

დემურ გიორგელიძე: რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული პროქსი ომია

ვიღაცის „ბოროტების“ დასამარცხებლად ვიბრძვით და ვერ გაგვიგია, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები რა არის!

სოსო მანჯავიძე: ამერიკის ადმინისტრაციის იდეოლოგია მსოფლიოს სამოქალაქო ომისკენ მიაქანებს

ბიძინა ივანიშვილი, დედამიწაზე ჩამოტანილი სამოთხე და ახალი „რელიგია“ ბოროტთათვის

„გირჩი ძია“ ომბუდსმენად!

ლუსინკა ხარ თუ გალკა, მოდი რა, შეგვეშვი!

სანქციების მსოფლიო ისტორია

ვინ იყო კაცი, რომელსაც პასპორტში მაიმუნის სურათი ჰქონდა ჩაკრული

ადრე ბრიტანელები მართავდნენ ინდოეთს, ახლა კი ინგლისს ინდოელი უხელმძღვანელებს

ორმოცი დღე გავიდა, რაც ვახტანგ ხარჩილავა ჩვენ გვერდით აღარ არის. ახლა ის იმ ქვეყნის ბინადარია, „...სადა არა არს ურვა...“

მისი „საერთო გაზეთი“ კი, რომელსაც ერთმა ჩვენმა მეგობარმა „ვახტანგ ხარჩილავას მეორე „მე“ უწოდა, კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს.

ვახტანგ ხარჩილავას ოჯახი, გაზეთის სარედაქციო შემადგენლობა და თანამშრომლები, მის ნათელ სულს და მკითხველ საზოგადოებას ვპირდებით, რომ ათასობით ჩვენი თანამემამულისთვის ძვირფასი ეს ბეჭდური გამოცემა არ შეცვლის ჩვენი სათაყვანებელი რედაქტორის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას, არ გადაუხვევს გაკვალულ გზას და ვეცდებით, ისეთივე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და საინტერესო დარჩეს - „საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის“, როგორიც ვახტანგ ხარჩილავას სურდა.

მშვიდობით, ნაღდო კაცო და ნაღდო პოეტო!

„დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა პოეზიამ“, რომ ამბობენ, შენს წასვლაზე ითქმის ეს, ჩემო ვახტანგ. შენთან და შენს პოეზიასთან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ნაცნობობა მათქმევინებს ამ ჭეშმარიტებას...

1966 წელს ბედმა დედაუნივერსიტეტში შეგვახვედრა ერთმანეთს და იმ დროიდან მოყოლებული ჩვენ-ჩვენი გზა-სავალით მოვდიოდით და ვამხნევებდით ერთმანეთს. იშვიათი უნარი გქონდა, ვახტანგ, სხვისგან დაწერილი ლექსით, წერილითა თუ საჯარო გამოსვლით აღფრთოვანების გამოხატვისა. ეს დიდბუნებოვანი კაცების, ნიჭიერ შემოქმედთა თვისებაა; პატარა კაცები „ვერ ამჩნევენ“ სხვის კარგ წიგნებს, წარმატებულ ნაბიჯებს....

დრომ, ცხოვრებამ, სადღეისო პრობლემებმა პუბლიცისტის კალამი აგაღებინა ხელთ... მე არ ვიცი, ვის მოსწონდა და ვისთვის მეტად მწარე იყო შენი პირუთვნელი სიტყვა, მაგრამ მე მუდამ მჯეროდა, რომ შენ შენს თავთან, შენს სინდისთან და, რაც მთავარია, შენს ქვეყანასთან და ხალხთან ყოველთვის მართალი იყავი...

ერთ რამეზე მაინც მწყდება გული, ჩემო ვახტანგ, ესაა: პუბლიცისტიკა სადღეისო პრობლემების მოგვარებას ემსახურება; ხვალ შეიძლება (და ღმერთმა ქნას) ის პრობლემები მოგვარდეს და აღარ იყოს აქტუალური ესა თუ ის პუბლიკაცია... ის დრო რომ პოეზიას დააკლდა, ეს მენანება მე, ჩემო ვახტანგ; შენს სათქმელ ლექსს სხვა ვერ იტყვის, შენს დასაწერ წიგნს სხვა ვერ დაწერს; ამაზე მწყდება გული... თუმცა იმ მოგვარებულ პრობლემებში შენი პუბლიცისტიკის წვლილიც რომ იქნება, ესეც მეამაყება...

რას ვიზამთ, „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“... ასე ინება ბედისწერამ, ჩემო მეგობარო!..

გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი

მინდა, ვახტანგის ხსოვნას ჩემი პატარა ლექსით გამოვეხმაურო, რომელიც სწორედ მეგობრების ხსოვნას მივუძღვენი: „უბის წიგნაკს სინანულის ცრემლი ახლავს, გამოაკლდა, ეს რამდენი გამოაკლდა, თუ გადავწერ ან შევავსებ ფურცლებს ახლით, არ გადავშლი მე თქვენს გვარებს, არ გადავშლი“.

ბადრი ჟუთათელაძე, პოეტი, ფილოლოგი

ბედნიერება მქონდა, ვახტანგ ხარჩილავასთან ერთად თითქმის ერთი წელი მემუშავა. დროის ასეთი მცირე მონაკვეთიც კი საკმარისი აღმოჩნდა, კეთილშობილი და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნება დამენახა. ამავე დროს, იგი შესანიშნავი ლირიკოსი და პუბლიცისტი იყო. მისი პუბლიცისტური წერილები გამოირჩეოდა ეროვნული თვალთახედვით და, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ქართულ პუბლიცისტიკაში. ასევე, შესანიშნავი მთარგმნელიც იყო. ახლახან, ერთხელ კიდევ გადავიკითხე უსაჩინოესი სომეხი პოეტის ვახან ტერიანის კრებული — „მიმწუხრის ლანდები“ ქართულ ენაზე და დავრწმუნდი, რომ ბატონი ვახტანგი შესანიშნავი მთარგმნელიც იყო. იგი ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ამ შემთხვევაში, მე ვგულისხმობ არა იმდენად მის რედაქტორობით გამოცემულ გაზეთებს, არამედ იმას, რომ ეს გაზეთები ქართველი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას ასახავდა.

ანზორ თოთაძე, დემოგრაფი, პროფესორი

ვახტანგ ხარჩილავა

ვის სჭირდება პოეტის ხელობა

მეოცნებე ვარსკვლავებს შესცქერის,
მზე ჩადის,
მთვარე ამოდის,
მდინარეს ზღვისკენ მიეჩქარება.
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ბავშვი უცრემლოდ ტირის,
რომ დედას თავი შეაცოდოს
და სათამაშო თვითმფრინავი აყიდინოს...
მესაფლავე საფლავს თხრის,
ილუზიონისტი ცეცხლს ყლაპავს,
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ადამიანი იბადება,
ადამიანი კვდება,
ადამიანის ხელობა დაბადება და სიკვდილია,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

მშენებელი აგურს აგურზე აწყობს და...
სახლი!
მებადური ბადეს ისვრის და...
თევზი!
ბავშვი იტირებს და...
სათამაშო!
მე ლექსს ვწერ და...
ქაღალდზე სისხლის ჭანჭყრობი.

ლექსების წერა –
მეოცე საუკუნის მიწურულის
ყველაზე უმადური ხელობა,
ყველაზე საჭოჭმანო ხელობა,
სისხლით გატიკნილი წურბელების –
სიტყვების მომშენებელი,
ქაღალდზე მოფუთფუთე ასოების
მწყემსი.

დღეს ყველა სარფიან საქმეს მისდევს,
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...
ზოგს წინდების საამქრო აქვს გახსნილი,
ზოგს ღილების,
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...

იქნებ დროა, მეც მოვეგო გონს,
იქნებ მეც გავხსნა ლექსების ფარდული.
ჩავდგები დახლში და დამწყებ პოეტებს
მივყიდი რითმებს,
შედარებებს, მეტაფორებს
და სხვა ათასგვარ წვრილმანს.
ბლოკნოტი, რომელშიც არაფერი წერია
80 კაპიკი ღირს,
წიგნი, რომელშიც 50 ლექსია,
20 კაპიკი,
აქედან დასკვნა:
– ჩვენ ქაღალდს ვაფუჭებთ და
ქაღალდის გაფუჭებისთვის
ჯარიმას ვიხდით!

პლატონმა ხომ გამოგვაძევა
თავისი იდეალური სახელმწიფოდან,
ჩემი მეგობარი შერმადინ ქალდანიც
გამოაძევა ქალბატონმა ხაზომ
ნაქირავები ბინიდან.
დილით შესახლებული საღამოს გამოაბრძანა: –
გაეგო, რომ ლექსებს წერდა და
დროზე დაიზღვია თავი.

მებადური ბადეს ისვრის,
გუთნისდედა გუთანს მისდევს,
ჯარისკაცი სროლაში ვარჯიშობს,
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ვახტანგ ხარჩილავას „საერთო გაზეთმა“ დამაახლოვა. მანამდე, როგორც რიგითი თაყვანისმცემელი, ვიცნობდი მის შემოქმედებას. თვალს ვადევნებდი და ხარბად ვკითხულობდი მის ლექსებს, უმწვავეს საგაზეთო თუ პროფესიულ თემებზე აქტუალურ პუბლიკაციებს. უდავოდ გამორჩეული, ნიჭიერი შემოქმედი, სიტყვის დიდოსტატი იყო, საკუთარი ხელწერა გააჩნდა, მაშტაბური აზროვნება და შესაშურად სამართლიანი საქვეყნო ხედვა ჰქონდა. პოლიტიკური წიაღსვლები კარგად იცოდა, მოვლენებს სწორად აფასებდა და ყველგან უბადლო ალღო დაჰყვებოდა თან - იდგა იქ, სადაც ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა მდგარიყო, მის შემოქმედებას ქვეყნის სიყვარული აცისკროვნებდა, კაშკაშა სულიერ სამყაროს ფლობდა. სიდიადის და გამორჩეულობის მიუხედავად, უაღრესად თავმდაბალი, მეგობრული და კეთილგანწყობილი, უღალატო პიროვნება იჯდა მის სხეულში. მაგრამ ამ დროს ურყევი პოზიცია ყოველთვის ახლდა და შეცვლა არ უყვარდა. სიმართლეს მსახურებდა, სიყალბეს არ დაინდობდა.

ჩვენი ურთიერთობის პერიოდი ყოველდღიურობით დატვირთული არ იყო, თუმცა შემოქმედებითად ნაყოფიერი გამოდგა - „საერთო გაზეთში“ ჩემი არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა - მოიწონა, შემაგულიანა, აფასებდა სიტყვის პეწსა და სითამამეს. საგაზეთო ფორმატის შეზღუდულობის გამო, ყოველთვის გვიწევდა პუბლიკაციის მოცულობის შემცირებაზე მოსაზრებების გაცვლა. საოცარი ოსტატობით გადაყრიდა აბზაცებს ისე, რომ მთავარი აზრი უფრო უკეთესადაც წარმოჩინდებოდა და წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევდი.

ბოლოს მძიმე ოპერაციის შემდეგ ვნახე. ტკივილებს არ იჩნევდა, მხნედ იყო, იბრძოდა, დანებება არ სურდა. გაფითრებულ სახეზე ვატყობდი, დიდსოფელში გამგზავრება მალე მოუწევდა და მარადისობას შეერთდებოდა. დიდხანს ვერ დავრჩი, ყელში ბურთი მქონდა გაჩხერილი და მახრჩობდა. მერე, გამოსვლისას კურცხალმა თავისით გაიკვლია გზა...

უზომოდ ვწუხვარ, რომ ვახტან ხარჩილავას წარსულ ფორმაში ვახსენებ. ქვეყანას დააკლდა მისი ბრძოლისუნარიანობა, საღი აზრი და შემართება, ჩვენ კი - მეგობარი, უდრეკი თანამებრძოლი, ქომაგი, ზნეკეთილი ზურგი.

მეიმედება, რომ „საერთო გაზეთი“ ისევ ისეთივე შემართებით აგრძელებს მისი დამფუძნებლის გზას. ვახტანგის პუბლიკაციები ახლაც ხმალშემართული ერკინება ქვეყნის მოღალატეებს და დუშმანს. მისი პოეზია შთამომავლობას დარჩება, ვითარც სანიმუშო მაღალი სულიერება.

ᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲫᲣᲐ, ეკონომისტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ვახტანგი ამ საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი გამორჩეული პუბლიცისტი იყო. როგორც მხატვარი გადმოსცემს ნახატით სიუჟეტს, ისე პუბლიცისტი თავისი პუბლიცისტური ენამახვილობით და გონებრივი შესაძლებლობებით სიტყვებით ასურათებს ამა თუ იმ ფაქტს. ვახტანგი ერთ-ერთი უძლიერესი პუბლიცისტი იყო. ასევე, შესანიშნავი პოეტი გახლდათ. ბუნებამ ნიჭით დააჯილდოვა. ვახტანგს ჰქონდა ლექსები, სადაც ერთი სტროფი ქართული იყო, მეორე — მეგრული. მან გააკეთა შესანიშნავი სინთეზი — მეგრულისა და ქართულის ჟღერადობის ბგერები შეათავსა და ჰარმონიული გახადა, რაც სხვას არავის გაუბედავს. ამ მხრივ მისი ლექსები ტკბილხმოვანებით გამოირჩევა, რაც მხოლოდ ნიჭიერ პოეტს შეუძლია. მეგრულ და სვანურ ენებში დიდი საუნჯე ინახება. ეს ენები ყველა ქართველმა უნდა იცოდეს. ჩემი აზრით, სკოლაში ოთხ კლასამდე მეგრულ და სვანურ ენებს უნდა ასწავლიდნენ იმიტომ, რომ ქართული ენის ბალავარი ამ ორ ენაში ინახება. დიახ, მისი სიმდიდრე, ფესვები ამ ორ ენაშია შემონახული. ვახტანგი საამაყო ქართველი იყო, რომელიც საქართველოს ინტერესებს ხმალამოღებული იცავდა. ერთი სიტყვით, ვახტანგ ხარჩილავა იყო ადამიანი, რომელიც ყველაფერში თავის კვალს აჩნევდა. დიახ, მან თავისი კვალი ხნულივით გაავლო ქართულ სინამდვილეში და ცხადია, მისი „საერთო გაზეთი“ გვირგვინია, რომელიც მან თავად შობა. თვითონ იყო ჩამომყალიბებელიც, შემქმნელიც. „საერთო გაზეთი“ მისი ლექსივით იყო — მან შექმნა, მან მოიგონა და მან დაამკვიდრა ქართულ მკითხველში პატრიოტული მოტივაციით სავსე „საერთო გაზეთი“. მიხარია, რომ ეს გაზეთი კვლავ ცოცხლობს ვახტანგში და, იმედია, ასე გაგრძელდება მარად!

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მწერალი

მე და ვახტანგი ჟურნალ „ცისკარში“ ერთად ვმუშაობდით, წლებია ვმეგობრობთ. მან უამრავი მოსაგონარი დღე დამიტოვა. აი, 40 დღეც გავიდა, რაც სამწუხაროდ, ვახტანგი — ეს საიმედო, საამაყო ერისკაცი ჩვენთან აღარ არის. ძალიან დასანანია, როცა ასეთი ადამიანები გვტოვებენ. მან დიდი ტკივილი დაგვიტოვა მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს. მინდა გითხრათ, რომ მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული მწერლობისთვის, საზოგადოებისთვის. იმიტომ, რომ ვახტანგი ამინდს ქმნიდა როგორც პოეზიაში, ისე თავისი შესანიშნავი პუბლიცისტიკით. იგი საკუთარ გარშემო იკრებდა იმ ხალხს, რომლებიც პოლიტიკის, ლიტერატურის, ხელოვნების ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ და მათში თავის კვალს ტოვებდა. მეგობრებისთვის ვახო დიდი იმედი იყო. მახსოვს, როცა გალაკტიონ ტაბიძის პრემია მივანიჭეთ, საოცარი შეხვედრა შედგა სამების საკათედრო ტაძარში. ვახტანგისნაირი კაცები საქართველოს ბევრი არ ჰყავს თავისი გამორჩეული ნიჭიერებით, კრიტიკულობით, დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმით. საკუთარი ჯანმრთელობა იმ საქმეს შესწირა, რასაც ხალხის მსახურება ჰქვია. თავად ქმნიდა ადამიანებს შორის დამოკიდებულებებს. ამ სამყაროში თავისი ნიშა ეკავა. როგორც აღვნიშნე, იგი შესანიშნავი, ნიჭიერი პუბლიცისტი იყო. ვახტანგის ხმა, მისი წერილები ძალიან დააკლდება დღევანდელ საზოგადოებას. ახლა, როცა ასე ძალიან სჭირდება საზოგადოებას მისი წერილები, იგი ზეციურ სამყაროს შეუერთდა. ძალიან დასანანია, რომ მკითხველი ამ უნიჭიერესი კაცის შემოქმედებას ახალ ლექსებს და პუბლიცისტიკას ვეღარ გაეცნობა. ეს დიდი დანაკლისია.

ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი

კაცობრიობას
ატომურ ბომბზე უდევს თავი,
მე კი ლექსებს ჩავჩურჩულებ.
კაცობრიობა თვითმკვლელობისთვის
ემზადება,
სიკვდილის ჟინით შეპყრობილი,
სიკვდილის ექსტაზით გაბრუებული,
სისხლს დაწაფული,
სისხლით მთვრალი,
მე კი ყურში ჩავძახი:
– გამოიღვიძე!
– გამოიღვიძე!

მეკუბოვე კუბოების გაკეთებას
ვერ აუდის,
მე მაინც სიცოცხლის უკვდავებას
ვუმღერ!
სიძულვილი ჩასახლებულა
ჩვენს სახლებში,
მე მაინც სიყვარულის უკვდავებას
ვუმღერ!
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე სიყვარულის განდიდება მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ცხოვრება თიშავს და აშორებს
ადამიანებს,
მე ერთიანობისკენ მოვუწოდებ.
უგნურება სისხლის ტბებს აყენებს,
მე შეწყალებისკენ მოვუწოდებ.
რადიაქტიური ზამთრის სუსხი
ჩამოგვწოლია თავზე,
მე გაზაფხულისკენ მოვუწოდებ,
ჩემი ხელობა გაზაფხულისკენ მოწოდების
ხელობაა!

ვის სჭირდება დღეს ხელობა გამომღვიძებლისა,
ხელობა შემრიგებლისა,
ხელობა გამაერთიანებლისა,
ხელობა სიყვარულით შემკავშირებლისა?
კაცობრიობა ჰაშიშით და ოპიუმით
გამოთაყვანებული თვალებით მომშტერებია,
კაცობრიობის ძარღვებში
მორფიუმის და პრომიდოლის ხსნარი ჩქეფს.

მე კი მის დაცხრილულ ვენაში
ისევ და ისევ,
ლექსების ტკბილი ბადაგის
შეშხაპუნებას ვცდილობ.

ვის სჭირდება ჩემი ხელობა?
ლექსების ტკბილი ბადაგის შეშხაპუნებლის ხელობა?
არამკითხე კეთილისმყოფელის ხელობა?

მე ვარ საგნების შემფერადებელი,
საგნების შემლამაზებელი,
გრძნობების გადამღებველი,
გულთა ამაჩუყებელი,
სიბრალულის ცრემლთა მომდენი,
ვის სჭირდება დღეს ცრემლთა მომდენის
ხელობა?

ამ გოგო-ბიჭებს
რად სჭირდებათ ჩემი ხელობა –
სიყვარულის ვარდისფერ ბურუსში
შემფუთვნელის ხელობა,
სიყვარულით ამმაღლებლის ხელობა,
სიყვარულით განმწმენდელის ხელობა,
როცა მათ უკვე გაუშლიათ სარეცელი
და ერთმანეთს შეყვარებულებს კი არა,
პარტნიორებს ეძახიან.

რამდენი ლექსი დაწერილა ამ ქვეყანაზე,
ის სტრიქონები ერთმანეთს რომ მივაწყოთ
და დედამიწის ზურგზე გავფინოთ,
მთელ დედამიწას გადაფარავდა
სტრიქონების უსასრულო ხნულები.
ვარდის ბუჩქის თესლს ვყრიდით შიგ და
გველები ამოყელყელავდებოდნენ ხოლმე.

დიახ, ჩვენ დავმარცხდით!
თუმც დრო გავა
და თავისი სხეულის ნანგრევებში
ეს სამყარო კვლავ დაგვიწყებს ძებნას.
გაქვავებული ლავიდან ამოთხრის სტრიქონებს,
მოწიწებით გადააცლის ფერფლსა და მტვერს.
და თითეული პწკარის აღმოჩენა
უძვირფასესი რელიკვიის აღმოჩენას
დაემსგავსება,
ქვეყნიერების უმანკო ბავშვობის
ქრონიკა,
უტყუარი დასტური,
რომ ოდესღაც ადამიანები ვიყავით...

მზე აცხუნებს,
ქარი ჰქრის,
ოკეანე ღელავს,
ჩიტი გალობს,
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

მეოცე საუკუნის მიწურულს,
სატანის აღზევების ჟამს,
ვის სჭირდება ეს ხელობა,
ძველმოდური ხელობა,
ყავლგასული ხელობა?!

რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთის წინააღმდეგ გამოუცხადებული პროქსი ომია

ვიღაცის „ბოროტების“ დასამარცხებლად ვიბრძვით და ვერ გაგვიგია, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები რა არის!

გვესაუბრება ანალიტიკოსი ლემურ გიორგელიძე:

— ბატონო დემურ, რუსეთ-უკრაინის ომმა ცხადჰყო, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. მოდით, საუბარი გლობალური გამოწვევებით დავიწყოთ. რა შეცვალა მსოფლიო რუკაზე ამ ომმა?

— უკრაინაში რაც ხდება, ეს სწორედ ძველის ნგრევისა და ახლის ფორმირების პროცესია. ეს არ გახლავთ, საკუთრივ, რუსეთ-უკრაინის ომი. უკრაინა პროქსი სახელმწიფოა. ეს რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული პროქსი ომია. აქცენტები სხვაგან უნდა ვეძებოთ. ეს, ამ დიდ დაპირისპირებაში იარაღია, რაშიც რუსეთი

და აშშ ფიგურირებს. კოლექტიური დასავლეთი ამერიკის გარეშე არანაირ ძალას არ წარმოადგენს. ევროკავშირიც და ნატოც აშშ-ის ინსტრუმენტებია. დღეს ყველაფერი რუსეთის განადგურებისკენ არის მიმართული. რთული პროცესი მიდის. სისტემა ცდილობს, თავი შეინარჩუნოს. ჩემი აზრით, ძალთა რამდენიმე ცენტრი შეიქმნება და ისინი ერთმანეთში, პასუხისმგებლობების განაწილების თვალსაზრისით, გარკვეულ კოორდინირებას მოახდენენ, რადგან სხვაგვარად მსოფლიოს წინ კარგი არაფერი ელის.

პირველ რიგში, ეს ცენტრი გახლავთ აშშ. იგი ერთ-ერთ ძალიან მძლავრ ცენტრად დარჩება, მაგრამ არა ისე, როგორც ბოლო 30 წლის განმავლობაში იყო. ძლიერ ცენტრებად ჩამოყალიბდება, ასევე, პეკინი, მოსკოვი. თუმცა, **აშშ-ს უდიდესი პრობლემა მალე არა მოსკოვი ან პეკინი, არამედ გლობალური სამხრეთი იქნება, რომლის ცენტრი ინდოეთი გახლავთ.**

— ამ ომში, რუსეთისა და უკრაინის ხელისუფლებები რამდენად გამოხატავენ საკუთარი ქვეყნების ინტერესებს, თუ ეს მიზანმიმართულად გაღვივებული პროცესია?

— უკრაინის მოვლენები 30 წლის წინათ დაიწყო და განსაკუთრებით რელიეფურად 2014 წელს გამოიკვეთა. უკრაინაში არავინ მალავდა, რომ ომისთვის ემზადებოდნენ — ამერიკის და ნატოს საუკეთესო სპეციალისტები ჯარს წვრთნიდნენ. დიახ, ისინი რუსეთთან დიდი ომისთვის ემზადებოდნენ. ეს მიზანმიმართული იყო, შემთხვევით არაფერი მომხდარა. სპონტანურობა არ ყოფილა. ამ ყველაფრის შედეგი ძალიან მძიმე იქნება. საქართველოში არ უნდათ გაიგონ, რომ საკმარისი იყო, უკრაინას ნეიტრალური სტატუსი მიეღო, ორი ოლქისთვის ავტონომია მიენიჭებინა და რუსეთი უკრაინაში შესვლას ვეღარ გაბედავდა. მაგრამ დიდი პოლიტიკისთვის მთავარი იყო რუსეთის გამოცდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მას კოლოსალური — შვიდი ათასამდე სანქცია ადევს. რა თქმა უნდა, ამან რუსეთი სერიოზულად დააზარალა, მაგრამ რუსეთის ეკონომიკა და სისტემაც გაცილებით მყარი აღმოჩნდა.

— ახლა სანქციები ახსენეთ, რამაც რუსეთზე მეტად ევროპა დაასუსტა.

— ცხადია. გადავხედოთ, რა პროცესები მიდის ევროპაში, თუნდაც პარიზის მოვლენები, სადაც გამოსვლებია. პოლიცია ხალხს სასტიკად უსწორდება. ამ პროცესების შეჩერება ვეღარ მოხერხდება იმიტომ, რომ ევროპა თავის კეთილდღეობას კარგავს მისი ხელისუფლებების ძალიან ცუდი პოლიტიკის გამო. ევროპა ვეღარასდროს იქნება კეთილდღეობის ისეთ გარემოში და ისე განვითარებული, როგორც ბოლო 50 წელი იყო. გამოსვლები უკვე დაწყებულია გერმანიაშიც, საფრანგეთშიც. რაც დრო გავა, ეს კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს.

— როგორ ფიქრობთ, უძლეველი რუსეთის არმია რატომ განიცდის უკრაინაში წარუმატებლობას?

— ჩვენ, შვიდი თვის მერეც, საომარი მოქმედებების მიზნები კარგად ვერ გავიგეთ. ომი, როგორც ასეთი, გამოცხადებული არ არის. უკრაინაში შეყვანილია შეზღუდული კონტინგენტი — 170-200 ათასამდე ადამიანი და შეზღუდული ტექნიკა. კლასიკური გაგებით, ომი ორ სახელმწიფოს შორის რომ იყოს, რუსების სამხედრო პოტენციალი იმდენად დიდია, წინააღმდეგობა შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ამ ომს, აშკარად სხვა მიზნები ჰქონდა. ეს პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებია. პოლიტიკური მიზანია ის, რომ დასავლეთი აიძულოს მოლაპარაკებაზე წამოვიდეს და მოთხოვნები ნაწილობრივ მაინც დაუკმაყოფილონ, რაც ნატოს გაფართოების შეჩერებას და შეიარაღების გაყვანას ითვალისწინებს. საკმარისია, რუსეთის მოთხოვნა ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილებულიყო და სრული პოლიტიკური გამარჯვება რუსეთის მხარეს იქნებოდა. ეს არ დაუშვეს. შემდეგ, უკრაინაში მიმდინარე პროცესებით, სანქციებით გამიზნული იყო რუსეთის შიგნიდან აფეთქება და ეკონომიკური კოლაფსი, მაგრამ ჯერჯერობით არც ეს გამოვიდა.

2014 წლიდან რუსეთში აგრარული სექტორი ძალიან წინ წამოიწია. იგი აგრარული პროდუქციის წარმოებაში ერთ-ერთი მსოფლიო დომინირებული ქვეყანაა. ახლა უკვე ტექნოლოგიურ დარგებსაც მოჰკიდებენ ხელს, სხვაგვარად შეუძლებელია. ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსეთი უკრაინასთან ბრძოლისას წარუმატებლობას განიცდის. პრაქტიკულად, უკრაინაში გარკვეული წარმატებები უზარმაზარი მსხვერპლის ხარჯზე ხდება, მაგრამ ეს სტრატეგიულ მიზნებსა და მდგომარეობას არ ცვლის. საბოლოო ჯამში, კარგად დაიმახსოვრეთ, უკრაინა საშინელი კატასტროფის წინაშე დგას.

— რამდენად რეალურია ბირთვული საფრთხე?

— ვფიქრობ, რუსეთის სამხედრო დოქტრინაში ყველაფერი გაცხადებულია. ახლახან, გამოქვეყნდა ამერიკის თავდაცვის განახლებული სამხედრო დოქტრინა და ა.შ. ვფიქრობ, ბირთვული იარაღის საფრთხე იმდენად რეალურია არ არის, რამდენადაც, ეს პროპაგანდაა. აქაც პროვოცირებას აქვს ადგილი — იქნებ, რუსეთი აიძულონ, ბირთვული იარაღი გამოიყენოს. რუსებს უკრაინაში არანაირი ბირთვული იარაღის გამოყენება არ სჭირდებათ და არც გამოიყენებენ, თუ მათ საფრთხე თავად არ შეექმნათ. საქმე ისაა, რომ აშშ და რუსეთი, რეალურად, ერთმანეთთან 24-საათიან კავშირზე არიან, რათა ნებისმერი შემთხვევითობა გამოირიცხოს. ევროპას და ნატოს არანაირი ბირთვული იარაღის გამოყენება არ შეუძლიათ, რადგან ყველაფრის სადავეები აშშ-ის ხელშია. თუ ორი სახელმწიფო ბირთვულ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყენებს, მთელ მსოფლიოს განადგურება ემუქრება.

— ბატონო დემურ, ამერიკას ხომ არ აწყობს, რომ რუსეთმა ევროპის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი გამოიყენოს?

— ილონ მასკმა, რომელიც შემთხვევითი პიროვნება არ გახლავთ და ძლიერი ამერიკული ელიტის წარმომადგენელია, პირდაპირ თქვა: რუსეთს ნახევარი საათი სჭირდება ნატოს და ევროპის გასანადგურებლადო. რუსეთს, ასევე, ნახევარი საათი სჭირდება აშშ-ის გასანადგურებლად, მაგრამ მაშინ რუსეთიც ნადგურდება. ეს მხოლოდ აშშ-ს შეუძლია. იმედია, ურთიერთგანადგურების რეჟიმზე არცერთი არ წავა. რაც შეეხებათ ნატოს და ევროკავშირს, მათ არაფერი შეუძლიათ. ისინი დამოუკიდებელ ძალებს, პოლიტიკურ მოთამაშეებს არ წარმოადგენენ.

— წინა კვირას დეგნანმა რიგ პოლიტიკოსებს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ძირის გამოთხრაზე მიუთითა. რეალურად რა ხდება?

— დეგნანს სახელმწიფო დეპარტამენტში ხელმძღვანელები ჰყავს და, ცხადია, იგი ამ პოლიტიკით მოქმედებს. თუ საქართველოს რაიმე არ მოსწონს, დეგნანზე თავდასხმა კი არ არის საჭირო, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკაში უნდა ჩავიდეს და სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის დონეზე სიტუაციები დაარეგულიროს. ჩვენ აშშ-სთან ცუდი ურთიერთობა არ გვაწყობს. არც რუსეთთან ომი გვაწყობს, მაგრამ ამას სწორი პოლიტიკის გატარება სჭირდება და არა დეგნანზე თავდასხმები.

— ამერიკა გვეუბნება: საქართველოს სუვერენიტეტის გასაძლიერებლად ბევრი რამ გავაკეთეთო. თქვენ რა გახსენდებათ?

— ეს ცალკე თემაა. აშშ-მ საქართველოსთვის საკმაოდ ბევრი თანხა გაიღო. ასე დაუწყობელ ქვეყანაში დასავლეთის ბევრი დახმარება კორუფციაში იქნა გატანილი როგორც უცხოელების, ისე ქართველების შეთანხმებით. ამერიკელებმა შესანიშნავად იციან: რა გააკეთეს და მათი ფულიც რომელმა უკეთურმა ჩინოვნიკმა რომელ ჯიბეში ჩაიდო. ამიტომ, აქ საზოგადოების ან ქვეყნის დადანაშაულება სწორი არ არის. მათ კარგად იცოდნენ, ვის აფინანსებდნენ.

— ბატონო დემურ, როგორია

6 გვ.

ამერიკის ადმინისტრაციის იდეოლოგია მსოფლიოს სამოქალაქო ომისკენ მიაქანებს

მსოფლიო დუღილის პროცესშია, ნებისმიერ დროს შეიძლება სრულიად მოულოდნელი და ექსტრემალური სიტუაციები განვითარდეს

„საერთო გაზეთის“ მკითხველებს, სრულიად საქართველოს მინდა ბატონი ვახტანგის გარდაცვალება მივუსამძიმრო. იგი გახლდათ ბრწყინვალე პოეტი, პუბლიცისტი, დიდი პატრიოტი, იუმორით სავსე არაჩვეულებრივი ადამიანი და, რაც მთავარია, სამშობლოს მოჭირნახულე. ასეთი ადამიანები როცა ამ ქვეყნიდან მიდიან, ძალიან აკლდებიან თავიანთ სამშობლოს, ხალხს. მისმა გარდაცვალებამ ყველას ძალიან გული დაგვწყვიტა. უკვე ორმოცი დღე მიიწურა. უფალმა გაანათლოს მისი სული.

გვესაუბრება
პოლიტიკის ანალიტიკოსი,
ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე

— სოსო, რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში გადავიდა — პუტინმა რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის ტერიტორიების მიღებას ხელი მოაწერა. რა განვითარება აქვს ამ ყველაფერს?

— სანამ მოვლენების განვითარებაზე ვისაუბრებ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს, ალბათ, ყველაზე უცნაური ომია, რაც აქამდე არსებულა. პირველი უცნაურობა ის გახლავთ, რომ რუსეთის ე.წ. სპეცოპერაცია

სრულიად აბსურდულად ჩატარდა. ანუ, ფაქტობრივად, ოპერაცია ისე დაიგეგმა, რომ დამარცხებისთვის წინასწარ იყო განწირული. უკრაინას კოლექტიური დასავლეთი ეხმარებოდა, რომელსაც თოფქვეშ ჰყავდა 400 ათასზე მეტი მეომარი — არმია, ტერიტორიული დაცვის ძალები, ასევე, სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. მათ გარდა, მზადყოფნაში იყვნენ მოხალისეები, რომლებიც უკრაინაში ოპერატიულად აღმოჩდნენ.

ასე რატომ მოხდა, ცალკე საკითხია. ფაქტია, გეგმა, რომელიც რუსეთის ფედერაციამ დაამტკიცა, სრული აბსურდი იყო და შესაბამისი შედეგებითაც დამთავრდა. ამას შემდეგი გამართლება მოუძებნეს: თითქოს ქალაქების დანგრევა არ უნდოდათ და ჰუმანურობა გამოიჩინეს. ამავე დროს მუსირებდა აზრი: რუსეთის ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ მას ყვავილებით დახვდებოდნენ, ზელენსკის ოლიგარქები თავად ჩამოაგდებდნენ და სპეცოპერაციაც მალე დამთავრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე მაღალი აზრის არ ვარ, არ მგონია, ისეთი იდიოტები იყვნენ, რომ ასეთი მოლოდინები ჰქონოდათ. მოკლედ, დაახლოებით იგივე აბსურდული სცენარი განვითარდა, რასაც ადგილი ჰქონდა საკაშვილის მიერ ცხინვალის ოპერაციის ჩატარების დროს. მაშინ საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, თითქოს, გენერალმა კულახმეტოვმა ასი მილიონი დოლარი აიღო და ყველაფერი რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეათანხმა. თბილისში ყველა ამაზე საუბრობდა, მეეზოვეც კი. შედეგად, მათ ეს სრულიად აბსურდული ნაბიჯი გადადგეს. დაახლოებით ანალოგიური ხდება უკრაინის შემთხვევაშიც. ომის მეორე უცნაურობა შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ობიექტები უმოწყალოდ იბომბება, გაზსადენს არცერთი ტყვია არ მოხვედრია. ასევე, არცერთი ტყვია არ მოხვედრია და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს ამიაკის ექსპორტი უკრაინის ტერიტორიიდან. ასევე, სანქციებში რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ დაწესდა, არ შედის ის ნედლეული, რაც სჭირდება ამერიკას, მაგალითად, როგორიცაა სასუქები, ნედლეული აშშ-ის ატომური რეაქტორებისთვის და სხვა. მესამე უცნაურობა თავად უკრაინის ხელმძღვანელობის პოლიტიკაა. მათ მარტივად შეეძლოთ მინსკის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერათ და ეს წარმოუდგენელი სისხლისღვრა თავიდან აეცილებინათ. ეს უცნაურობა შემდეგნაირად აიხსნება: ბრიტანეთს და აშშ-ს სურდათ, უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ დეტონატორი გამხდარიყო. ისმის კითხვა: რა უნდა გაეკეთებინა რუსეთს? — თუ ეს მართლაც ომი იყო და არა პოლიტიკური თამაშები, მაშინ პოლიტიკური შედეგების მისაღწევად, ცხადია, რუსეთს უნდა ემოქმედა ისევე, როგორც აშშ მოიქცა იუგოსლავიის, ერაყის, ვიეტნამის მიმართ. ომი, რომელსაც მზარს უჭერს სტრატეგიული მოკავშირე, მთელი დასავლეთი, თეთრი ხელთათმანებით როგორ უნდა აწარმოო?! ეს აბსურდია. შედეგებიც ლოგიკურია. რუსეთმა ოთხი ოლქი საკუთარ ტერიტორიებად გამოაცხადა, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ხერსონის წინააღმდეგ შეტევა ხორციელდება და უკვე, ფაქტობრივად, დნეპრის მარცხენა სანაპიროდან მოსახლეობა მარჯვენა სანაპიროზეა ევაკუირებული, ვინაიდან უკრაინამ, ნიკოლაევისა და ხერსონის წინააღმდეგ თავი მოუყარა უზარმაზარ შეიარაღებულ დაჯგუფებას და შტურმიც განხორციელდა. ეს შესაძლებელი გახდა, რადგან რუსული არმია საოცრად დეზორგანიზებული აღმოჩნდა. ფაქტობრივად, გაირკვა, რომ მსოფლიოში ე.წ. რიგით მეორე რუსული არმია, რეალურად, მხოლოდ პიარში არსებობს. ნაწილობრივ, არსებობს საბჭოთა მემკვიდრეობა, თუმცა ჯარი, რომელიც პუტინის ხელმძღვანელობით შეიქმნა, აბსოლუტურად ბრძოლისუუნაროა. ვაგნერის, ასევე, კადიროვის დაჯგუფებები და სხვა რომ არა, აქამდე საქმე კიდევ უფრო მძიმედ ექნებოდათ, ვინაიდან რუსულ არმიაში სრულიად წარმოუდგენელ მოქმედებებს აქვს ადგილი. მათ არ აქვთ არც მოტივაცია, არც იდეოლოგია, არც საკანონმდებლო ბაზა, არც შესაბამისი რეგულაცია, რათა ჯარში დისციპლინა იყოს. პასუხისმგებლობის სისტემა

მორღვეულია. ჯარისკაცებიც და ოფიცრებიც უფრო იმას ფიქრობენ: როგორ აარიდონ თავი რისკებს, როგორ მივიდნენ პენსიამდე და პრივილეგიები მიიღონ. თითქმის ყველა მათგანს ბინები იპოთეკით აქვთ დატვირთული. ამიტომ, წინა ხაზზე ბრძოლას და ჯანმრთელობის, სიცოცხლის რეალური საფრთხის ქვეშ დაყენებაზე არც კი ფიქრობენ. აი, ასეთი ვითარებაა რუსულ არმიაში. ბუნებრივია, არც უკრაინის არმიაა მსგავსი ნაკლოვანებებისგან თავისუფალი. თუმცა, მათ გაცილებით მკაცრი ხელი მართავთ. გარდა ამისა, იქ გარკვეული იდეოლოგია მაინც არის შემუშავებული. თავად ბანდერას მიმდევრობა არ მგონია, ნორმალურ ადამიანს ხიბლავდეს, მაგრამ ეს ყოველივე საკუთარი სამშობლოს დაცვას ეფუძნება. რეალურად, ეს ქვეყნის დაცვა არ არის. უკრაინელ ოლიგარქებს სამშობლო დიდი ხანია გაყიდული აქვთ — არაერთი მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ამერიკული კომპანიის საკუთრებაშია გადასული. გარდა ამისა, უკრაინა ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუფციული და ოლიგარქიული ქვეყანაა. ომი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, უკრაინის მომავალს ძალიან ბუნდოვან ფერებში წარმოგვიჩენს. აი, ეს ვითარებაა.

— რა პერსპექტივა ესახება უკრაინას და რუსეთს ახლო მომავალში?

— ამჟამად უკრაინის დეპოპულაცია ხდება. ამ ქვეყნიდან ბევრი ადამიანი წავიდა ევროპაში, რუსეთში, საქართველოშიც. თუ უკრაინაზე — კიევში, ხარკოვში, ლვოვში და სხვაგან შეტევა არ შეჩერდა, ეს უზარმაზარი ქალაქები გათბობის, ელექტროენერგიის გარეშე აღმოჩნდებიან. საქმე უპრეცედენტო მოვლენასთან გვაქვს. იბომბება უკრაინის ენერგოობიექტები, რაც კიდევ უფრო დიდ მიგრაციას, დესტაბილიზაციას, წარმოუდგენელ ქაოსს გამოიწვევს. არადა, ამ პროცესის გაჩერებას პირი არ უჩანს. რუსეთიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

მოვლენების განვითარების პერსპექტივა ის არის, რომ უკრაინის გარკვეული ტერიტორიები დეპოპულაციას განიცდის, ხოლო რუსეთს, რეალურად, დეზინტეგრაციის საფრთხე უდგას — მისმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დასავლეთის მიმართ თავისი კოლონიური დამოკიდებულება შეეცვალა. მათ „მსოფლიო ბანკისა“ და „სავალუტო ფონდის“ მიმართ მორჩილება აქვთ. აი, ასეთი ვითარებაა. დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა: ამ სპეცოპერაციის მიმდინარეობამ დაადასტურა, რომ რუსეთის და უკრაინის ხელმძღვანელობები საკუთარი ქვეყნების ინტერესებს არ ატარებენ. მათ მიერ გატარებული პოლიტიკა ზენაციონალური ძალების ინტერესების შესაბამისია. შედეგიც აქედან გამომდინარეა.

— აშკარაა, რომ სანქციებმა, ჯერჯერობით, რუსეთი ვერა, მაგრამ ევროპა, უდავოდ, დაასუსტა. ეს ვის ინტერესებშია?

— საერთოდ, მთავარი ბენეფიციარი, ანუ, ამ კონფლიქტით მოსარგებლე აშშ გახლავთ. კერძოდ, აშშ-ის გეოპოლიტიკურ ინტერესებშია, რომ ევროპის ტექნოლოგიური ზონა დასუსტდეს და კაპიტალებმა აშშ-ში გადაინაცვლოს. ასევე, განმტკიცდეს კორდონი, რათა გერმანიასა და რუსეთს შორის რაიმე ტიპის კავშირი შეუძლებელი გახდეს. იმიტომ, რომ ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის მთავარი მიზანი ყოველთვის ევრაზიის კონტინენტზე ისეთი ტიპის კავშირების არდაშვება იყო, რომელიც უფრო ძლიერი გახდებოდა, ვიდრე ანგლოსაქსური სამყარო. ამჟამად ბრიტანელებისა და აშშ-ის მიერ ევროპის კონტინენტზე სწორედ ეს პოლიტიკა ხორციელდება იმ მიზნით, რომ ეს კავშირი არ დაუშვან. ამისთვის იყენებენ იგივე პოლონეთს, რომელსაც გაძლიერებულად აიარაღებენ. პოლონეთი, რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ ერთგვარი ორლესული მახვილია. თავად რუსეთის წინააღმდეგ რაც კეთდება, ამასაც კარგად ვხედავთ. გარდა ამი-

7 ბ3.

რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთის წინააღმდეგ გამოუცხადებული პროქსი ომია

4 გვ.

საქართველოს როლი ამ მოცემულობაში, მეორე ფრონტის თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა?

— ორ გლობალურ მოთამაშეს შორის დაპირისპირება ქართული დაპირისპირების საგანი არ არის. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ამ დაპირისპირებაში მხარე ვიყოთ. ცხადია, ქართველის ინსტრუმენტად გამოყენებას ყველა შეეცდება. მაგრამ თუ სახელმწიფო გვინდა, მაშინ რუსეთისთვის საფრთხეს არ უნდა წარმოვადგენდეთ. დღევანდელი გადასახედიდან საფრთხე, რა თქმა უნდა, არ მოხსნილა.

— საქართველო გარშემო ცეცხლის ალყაშია. თუ რუსეთი დამარცხდა, რა გველის ამ შემთხვევაში?

— მე არ ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს მომავალი შეიძლება რომელიმე სხვა ქვეყნის ყოფნა-არყოფნაზეა დამოკიდებული მაშინ, როცა პოლიტიკას საკუთარი ქვეყნის ინტერესების ფარგლებში ატარებ. სამწუხაროდ, ჩვენ კარგად არ გვესმის გეოპოლიტიკა, ან რა უნდათ დიდ მოთამაშეებს საქართველოსთან მიმართებით. ასევე, არ ვიცით: რა უნდათ ამერიკელებს სამხრეთ კავკასიაში, რა უნდათ რუსებს კავკასიაში და ა.შ. დიახ, ჩვენ ვერ ვხედავთ საფრთხეებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არსებობს. საქართველოს წინააღმდეგ ფარული ექსპანსია ხორციელდება. ჩვენ ვერ ვიაზრებთ, თურქეთის გეგმებში რა ისახება და მხოლოდ ემოციურად, იდეოლოგიური გახრწნის შედეგად, რაღაც ორიენტაციებზე ვსაუბრობთ და საკუთარი მომავალი გვინდა ფეხზე დავიკიდოთ. ასე იცის 27-წლიანმა იდეოლოგიურმა გამოთაყვანებამ.

— თქვენ ახსენეთ, ევროპას მძიმე ზამთარი ელისო. ეკონომიკური კუთხით რა ვითარებაა საქართველოში?

— საქართველოში, ჯერჯერობით, სიტუაციას იჭერს ჩვენი ქვეყნიდან გასული ადამიანების მიერ სახლში გადმორიცხული თანხები, რამაც გასულ წელს 7 მილიარდ ლარს მიაღწია. წელს, რუსეთ-უკრაინის ომის გამო, ქვეყანაში ასიათასობით ადამიანი შემოვიდა, რომელთაც დიდი ფული შემოიტანეს. ამ ყოველივემ „ეროვნული ბანკი“ აიძულა, ლარი ხელოვნურად გაემყარებინა. ფული, რომელიც აქ არ გამომუშავებულა, ქართულ ეკონომიკას დაეპკურა, მაგრამ როგორც კი ეს წყაროები შეწყდება, ჩვენი ეკონომიკა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. ოპოზიცია საზღვრის დაკეტვას ითხოვს. ეს გახლავთ პროვოკაცია საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს არ არის პოლიტიკური ნაბიჯები, არამედ პროვოკაციული ქმედებებია, რასაც ძალიან სერიოზული ფარული მიზნები აქვს.

— ბატონო დემურ, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების თქვენეული ფორმულაც გვითხარით.

— ერთადერთი უნივერსალური ფორმულა არსებობს — ორ სახელმწიფოს შორის მთავარი ამოსავალი, შეხების წერტილი და მოსალაპარაკებელი თემა უსაფრთხოებაა. თუ ორი სახელმწიფო ერთმანეთთან შეთანხმდება, რომ ერთურთისგან საფრთხე არ დაემუქრებათ, მაშინ სხვა ყველაფერი — ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ურთიერთობები, დალაგდება. ჩვენ რუსეთისთვის ისევ საფრთხეს წარმოვადგენთ არა საკუთრივ ჩვენი ჯარით, არამედ იმ კუთხით, რომ საქართველო, შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ ძალიან სერიოზულად იქნას გამოყენებული. ცხადია, ამის გამო ჩვენ რუსეთიდან უზარმაზარი საფრთხე გვემუქრება.

— ბატონო დემურ, საქართველოს ბედი ხან ისპანეთში წყდებოდა, ხან მოსკოვში, ხან ვაშინგტონში, მუდმივად ვიღაცას ვართ მიკედლებული. რეალურად რა უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს საზრუნავი?

— ეს 700-წლოვანი ქართული გამანადგურებელი პოლიტიკის შედეგია. ეს გახლდათ არაპროფესიონალიზმზე, ემოციაზე, პირად ხუმტურებზე აგებული პოლიტიკა. ჩვენ გიგანტურ დაპირისპირებებში ყოველთვის მხარე ვიყავით, არადა, ეს ჩვენი ომები არ იყო. ამ ყველაფერმა ბოლო 100 წლის განმავლობაში ქვეყნის 55% დაგვაკარგინა. ეს უაზრო პოლიტიკა არც ახლა შეგვიწყვეტია და საკუთარ სახელმწიფოს კვლავ დიდ განსაცდელს ვუმზადებთ. შეხედულებათა ეს სისტემა უნდა შეიცვალოს. ამიტომ, დგება მომენტი, როცა ამ მიმართულებით ჩვენი ისტორიული ტრაექტორია უნდა შევცვალოთ. ჩვენ დღესაც გვინდა, მხარე ვიყოთ, ვიღაცის ბოროტების „დასამარცხებლად“ ვიბრძოლოთ და ამ დროს ვერ გაგვიგია, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები რა არის. ამიტომ, ვიმეორებ: მთავარი უსაფრთხოების თემაა.

— საქართველო ევროკავშირში შესვლისკენ ისწრაფვის. არის ეს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა?

— ევროკავშირში შესვლა საქართველოს მომავალს არ წარმოადგენს. სადმე შესვლა განვითარებას არ იწვევს. არანაირი ევროკავშირში ან სადმე სხვაგან შესვლა, ქვეყანას არ განავითარებს, თუ საშინაო პროცესები სათანადოდ არ მიმდინარეობს.

ჩვენ არაფერი გვაქვს და გვინდა ევროკავშირი როგორც განვითარება, ისე გამოვიყენოთ?! ევროკავშირი არ წარმოადგენს საშუალებას განვითარებისთვის ისევე, როგორც ნატო და ნებისმიერი სხვა ამ ტიპის ორგანიზაცია.

— ბოლოს, რატომ გამოაცხადა გაეროს საპარლამენტო ასამბლეამ მიშა პოლიტპატიმრად?

— ვფიქრობ, ყველა ევროპული სტრუქტურა ასეთი ნაბიჯებით საკუთარ თავს შეურაცხყოფს, პატივს არ სცემს არც საქართველოს, არც ქართველ ხალხს. სწორედ ესაა ქართველ ხალხში დასავლეთისადმი დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი. 30 წლის წინათ ქართველებს კლასიკური ევროპის იმედი ჰქონდათ. ახლა ტროცკიზმში ჩართულ, ლგბტ პროპაგანდით გამოთაყვანებულ ევროპას ვხედავთ. საპარლამენტო ასამბლეის ეს დადგენილებაც ისეთივე აბსურდული და სულელურია, როგორც მათი სხვა საქციელი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მნათემ შეისვენა... ზარები რეკავენ ოსანას...

სხვას ვის შეიძლება შეადარო პოეტი, თუ არა მნათეს... და რას შეიძლება შეედაროს მისი „სიტყვის კოშკი“, თუ არა სამრეკლოს... დიახ, როგორც მნათე, უფლის ნებით, ყოველდღე დგება სამრეკლოზე და არისხებს ზარებს — უნდა ვინმეს ეს თუ არ უნდა, ესმის ვინმეს თუ არ ესმის, გაეგება ვინმეს თუ არ გაეგება... იგი ამსოფლად არავის ეკითხება ნებას, დარეკოს თუ არა, რადგან მარადიულის ნება აქვს. არათუ ნება, ვალი და მისია აქვს — მუდმივად აფხიზლებდეს ხალხს დავიწყების ძილისგან, არიდებდეს შეგუებისა და

განურჩევლობის ბურანს... ასე — სულ სამრეკლოზე იდგა ვახტანგ ხარჩილავა და დაუღალავად და გაუბზარავად რეკავდა ზარებს... და როცა წარმავლობის მსახურმა მედროვეებმა მწერლობას საერთო ტაძარი და სამრეკლო წაართვეს, მან საკუთარი სამრეკლო აიშენა და, არათუ შეამცირა, გააორკეცა გამაფრთხილებელი ზარების რეკვა... ასეთი იყო მისი „საერთო გაზეთი“ და ყოველ ოთხშაბათს ამ სამრეკლოდან ნათქვამი სიტყვა ვახტანგისა.

მენანება საქართველო ვახტანგის გარეშე!

სხვისი არ ვიცი და მე ასეთი განცდა მიპყრობს ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტის აღსრულების შემდეგ — ქვეყნის თავისუფლების ჯერ კიდევ გასაკაფი გზები ხომ, ამ ამღვრეულსა და აღრეულ დროში, სწორედ მათი მტკიცე სიტყვისა და ქმედების იმედად არის. იგი მყარი ორიენტირებისა და შეხედულებების პიროვნება იყო და უთუოდ ყველა იტყვის, რომ ამ მხრივ იგი ოდნავადაც არ შეცვლილა სიჭაბუკიდან სიცოცხლის ბოლომდე. აბა, რა გასაკვირია, თუ იგი გამორჩეულად მტკიცე და უკომპრომისო იყო ამ პრინციპების დაცვაში. ჩვენ ასაკმა და მერხმა კი არა, არამედ მძიმე ჟამის თანამოაზრეობამ დაგვამეგობრა. რაც მახსოვს, თითქმის არ ყოფილა პრინციპული საკითხი, რომელსაც ჩვენ არსებითად ერთნაირად არ ვუყურებდით — შეეხებოდა ეს მამულს, ენას, სარწმუნეობას, ადამიანს, სიმართლეს, ზნეობას თუ ღირსებას... ამიტომაც ადვილად გვესმოდა ერთმანეთის — სიტყვითაც და უსიტყვოდაც...

ორიოდე შტრიხით:

ოთხმოციანი წლებია — აქტიური პოეტური და, განუყოფლად, ეროვნული ცხოვრება. რუსთაველზე შევხვდით. როგორც სჩვეოდა, გარეგნულად შეუმჩნევლად, მაგრამ დაუფარავად შფოთავდა. — რას ჰგავს ეს, — მითხრა პირდაპირ, — როგორც შენთვის არის გაუგებარი კოლხური სიტყვიერება, შეიძლება ისევე იყოს შენი ხევსურული-თუშური ჩემთვის. რატომ არ არის ქართველური შემოქმედების ადგილი ამ საერთო საგანძურში?!.. აშკარად პოლემიკას ელოდა, მე კი უმალ დავეთანხმე; ანკი რა იყო სადავო და საორჭოფო... — მოდი, სადმე შევიდეთ! — ეს იმას ნიშნავდა, რომ დიალოგი უფრო უშუალო გარემოში უნდა გაგრძელებულიყო და პოეზიით დაგვირგვინებულიყო!..

ერთი მეგობარი მწერლის საღამოზე ვიყავით მიწვეული. გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. ბევრი კარგი რამ უთხრეს მწერალს, ზოგიც — ქართულად შეკმაზული, განსაკუთრებით — ლამის თავისი მშობლიური კუთხის კლასიკოსად გამოიყვანეს. ორჯერ თქვა „ჰმ“, მერე ადგა და ჩუმად წავიდა...

ჩვენი ბოლო შეხვედრა ერთ პასუხისმგებელ პირთან საუბრისას მოხდა. საკმაოდ უშუალოდ მიმდინარეობდა საუბარი. ვახტანგს კარგახანს ხმა არ ამოუღია. შემდეგ, ერთგვარად მოულოდნელად, დაიწყო და საკმაოდ მშფოთვარე სიტყვა თქვა — მწერლობისა და ქართული სიტყვის ბედის გამო... თითქოს ხვდებოდა, რომ ეს ბოლო შანსი იყო და მეტად აღარ მიეცემოდა შესაძლებლობა, სიმართლე ეთქვა... თუმცა, იგი ხომ სწორედ ასეთი „განწირულის სულისკვეთებით“ ამოთქვამდა თავის ყოველ ლექსს, თავის ყოველ წერილს — მართლად და დაუზოგავად!

და ისე მის ერთ-ერთ ბოლო პოეტურ პუბლიკაციას უნდა დავუბრუნდე — თითქოს კვლავ შეხვედრის პირობით დაემშვიდობა მშობელ ქვეყანას:

არ მინდა ბეჩავს გხედავდე,
მინდა ძლიერი განახო.
დიდება, მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!
ეს მისი სამრეკლოს ხმაა.

მნათემ შეისვენა (ძველი ქართველები მიცვალებაზე იტყოდნენ)... ზარები რეკავენ ოსანას...

ავთანდილ არაბული,
ენათმეცნიერი, აკადემიკოსი

ამერიკის ადმინისტრაციის იდეოლოგია მსოფლიოს სამოქალაქო ომისკენ მიაქანებს

5 გვ.

სა, აშშ და ბრიტანეთი ცდილობენ, კონფლიქტებში ყველგან არბიტრის როლი შეასრულონ. დომინირების უზრუნველსაყოფად, აშშ-ისთვის ბევრ რეგიონში სტაბილური და მყარი მთავრობები არასასურველია. ეს მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. აი, ასეთი მდგომარეობაა.

ეს სახელმწიფოები საქართველოშიც ცდილობენ დესტაბილიზაციის მოწყობას და ხელისუფლებაში სააკაშვილის მოყვანას. არა იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ უყვართ, არამედ იმიტომ, რომ აქ სტაბილურობა არ იყოს. ამით აიხსნება ის მანიაკური სიჯიუტე, რომელსაც ისინი ქართველი ხალხის მიმართ ახორციელებენ ლგბტ თუ ნეოლიბერალური იდეების თავს მოხვევით და ა.შ. ბაიდენის ადმინისტრაცია თავად აშშ-ში უდიდეს აგრესიას იწვევს. ავადმყოფური იდეოლოგია და პოლიტიკა აშშ-საც, ისე, როგორც დანარჩენ მსოფლიოს, სამოქალაქო ომისკენ მიაქანებს. თუმცა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პოლიტიკა, რომელსაც აშშ აწარმოებს, არ არის მხოლოდ რუსეთის დასუსტება, არამედ ევროპის — გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის. ასევე, დარტყმა ხდება ჩინეთზე, დასავლეთ ევროპაზე. ეს არის შეტევა სხვადასხვა მიმართულებებით. ეს პოლიტიკა, ბუნებრივია, მთელ კაცობრიობას ტოტალური კატასტროფისკენ მიაქანებს.

— 8 ნოემბერს ამერიკაში შუალედური არჩევნებია. რა მოლოდინები გაქვთ?

— ეს გახლავთ კონგრესისა და სენატის 1/3-ის განახლება. ბაიდენის ადმინისტრაციის პერიოდში ბევრი არასასურველი პროცესი მოხდა. თავად ბაიდენი ხან აჩრდილებს ელაპარაკება, ხან ჰაერს ართმევს ხელს, ათასგვარ სისულელეს ბოდავს. კამალა ჰარისი კი წარმოუდგენლად შეუსაბამო პიროვნებაა. იგი ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას არ ახდენს — უადგილოდ იცინის, რეალობას ვერ აღიქვამს, რაც ამერიკელებში აგრესიას იწვევს. არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ბაიდენს ხმა 70-მა მილიონმა მოსახლემ მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენი და კამალა ჰარისი საოცარ სკანდალებში გაეხვივნენ, ხმას აძლევენ იმის გამო, რომ არსებობს ინერცია — ან დემოკრატი უნდა იყო, ან რესპუბლიკელი. გასაგებია, რომ აშშ-ში საზოგადოების დამოკიდებულების გამო, მაინცდამაინც საღი აზრის გამარჯვებას არ უნდა ველოდოთ. თუმცა, „რესპუბლიკელებს“ კარგი შანსები აქვთ. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია შემდეგ გარემოებასთან: აშშ-ში ცხოვრება, საწვავი გაძვირდა. ბევრი ამერიკელი უკმაყოფილოა მიგრაციით და ა.შ. ამის გამო შესაძლოა „დემოკრატებმა“ სენატსა და კონგრესზეც კონტროლი დაკარგონ, რაც უკრაინის კრიზისზეც გარკვეულ გავლენას იქონიებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიგმა ქვეყნებმა, ფაქტობრივად, მხარი რუსეთს დაუჭირეს. ეს რუსეთისთვის მხარდაჭერა კი არ იყო, არამედ ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი, პირდაპირი დემარში. როდესაც მათ ნავთობის მოპოვება შეაჩერეს, ნავთობის ფასები გაიზარდა. რთული მოზაიკაა. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: მსოფლიო ისეთი დულილის პროცესშია, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება სრულიად მოულოდნელი და ექსტრემალური სიტუაციები განვითარდეს. ეს არ ეხება მხოლოდ უკრაინას, ტაივანს, ისრაელს ან ირანს. ბევრ ადგილას შეიძლება ისეთი პროცესი განვითარდეს, რაც პოლიტიკური პროცესების მიმართულებას სრულიად შეცვლის.

— სოსო, ზემოთ ამერიკის საზოგადოებაზე ვისაუბრეთ. რას იტყოდით ქართველი საზოგადოების შესახებ?

— საზოგადოებაზე, სადაც 600 ათასი ადამიანი „ნაცმოძრაობას“ აძლევს ხმას და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი კვლავ მიხეილ სააკაშვილია, არ ვიცი, რა შეიძლება ითქვას. ქართულ საზოგადოებაში რთული პროცესები ვითარდება.

— გაეროს საპარლამენტო ასამბლეამ სააკაშვილი პოლიტპატიმრად გამოაცხადა. როგორია თქვენი რეაქცია ამ გადაწყვეტილებაზე?

— ევროკავშირთან შედარებით, საბჭოთა კავშირი ჩვენს მოსახლეობაში ძალიან დიდ სიმპათიებს იწვევს. ევროკავშირი წარმოუდგენელ პოლიტიკას აწარმოებს. ამის პოლიტიკური ტერმინებით გამოხატვა შეუძლებელია. ასევე, სრული აბსურდი და სისულელეა მსოფლიოში არარსებული პროკურორის არჩევის წესი, რომელიც თურმე 12-პუნქტიან ულტიმატუმშია ჩადებული. გარდა ამისა, ევროკავშირი ცდილობს, თავს მოგვახვიოს სრულიად იდიოტური, მავნებლური ნაბიჯები განათლების სფეროში, ტრადიციების საწინააღმდეგო მოქმედებები და ა.შ. თანაც, ეს ყველაფერი დიქტატის ტონით და შეურაცხმყოფელი მენტორული მსჯელობებით ხორციელდება, რაც ევროკავშირისგან ამაზრზენი საქციელია. სხვათა შორის, ურსულა ფონ დერ ლაიენი მძიმე სკანდალში გაეხვა. ირკვევა, რომ „ფაიზერთან“ მის მიერ დადებულ 71-მილიარდევროიან ხელშეკრულებაში, ვაქცინის შესყიდვის თაობაზე, დიდი დარღვევებია.

— მთავრობა ირწმუნება: 12 პუნქტს პირნათლად შევასრულებთო. ასეც რომ მოხდეს, ევროკავშირში მიგვიღებენ?

— ლაპარაკია კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე, რაც საერთოდ არაფერს გვაძლევს. მე თუ მკითხავთ, ამის გამო ნამდვილად არ ღირს უარის თქმა ჩვენს იდენტობაზე, რწმენაზე, ტრადიციებზე, რაც ძვირფასია. ეს აბსურდია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვახტანგს სიმართლისთვის ჰქონდა ხმალი ალესილი...

ვახტანგს იმ დროიდან ვიცნობ, როცა ასპირანტი ვიყავი, ის კი — სტუდენტი. ბევრი საინტერესო საუბარი მახსენდება. ახლა, როცა მან დაგვტოვა, ჩემს მეხსიერებაში ზოგიერთი ნიუანსი აღდგა, რაც თქვენც მინდა გითხრათ. უმთავრესი ის გახლდათ, რომ ვახტანგი თავს უფლებას აძლევდა, ადამიანებისთვის ძნელი სათქმელი — სიმართლე ეთქვა. ეს მის ცხოვრებას მთავარ ხაზად გასდევდა ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, როცა მან ლავრენტი ბერიაზე შესანიშნავი ნაშრომი წარადგინა. როცა იგი უმაღლეს სასწავლებელში მივიდა, უკვე იცოდა: რა იყო ცხოვრება, სად იყო სიმართლე. მას ყოველთვის სჯეროდა და სწამდა, რასაც ამბობდა. იბრძოდა იმისთვის, რომ სიმართლე არ დაემალა. დიახ, მას სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ეს სიმართლე მის სამშობლოს დამოუკიდებლობამდე, ტაძრამდე მიიყვანდა. არა მარტო ტაძრამდე, არამედ შიგნითაც შეიყვანდა და სანთელს დაანთებდა, რომელიც აღარ ჩაქრებოდა. ერთხელ ვახტანგმა ბერძენი ფილოსოფოსის გამონათქვამი მითხრა: მზის ამოსვლას დაესწარი იმიტომ, რომ არ იცი, დაესწრები თუ არა მის ჩასვლასო. არ ვიცი, გრძნობდა რამეს თუ არა, მაგრამ ასე ამბობდა. იცით, ვახტანგი როგორი კაცი იყო? — მას ყვავილი კი არ აინტერესებდა, არამედ ნაყოფი. იგი ზომიერი კაცი იყო, რაც „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან დიდებულად ჩანდა. სულ მუშაობდა, რაღაცას სწავლობდა. ერთხელ ასეთი ფრაზა მითხრა: რაც უფრო მეტი იცი, უფრო მეტი შეგიძლიაო. მართლაც, ინდომებდა, რომ მეტი სცოდნოდა. გაზეთსაც ამ პრინციპით ამუშავებდა. მიხარია, რომ ვახტანგის „საერთო გაზეთში“ თქვენისთანა პროფესიონალი, დაკვირვებული, ანალიტიკოსი ჟურნალისტები მუშაობთ. „საერთო გაზეთი“ მოაზროვნე მკითხველისთვისაა, სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ვახტანგმა გაზეთში ის ხალხი მოგიყვანათ, რომელსაც ანალიზი შეუძლია და სიღრმე აქვს. ცხოვრება მარტივი არ არის. ვახტანგის კიდევ ერთი ფიგურალური გამოთქმა მახსენდება: ისტორიის საყრდენი, საფუძველი მის ცოდვებში, შეცდომებშია, მაგრამ ისტორიის აზრი, მისი არსი ამ ცოდვების, შეცდომების გამოსწორებასა და მონანიებაშიაო. აი, ასეთი გზით შემოვიდა იგი ჩემს ცნობიერებაში. ვფიქრობ, მან პირნათლად გააკეთა თავისი საქმე, იცხოვრა საოცრად დიდებულად, პატიოსნებით. მას კალამი საოცრად უჭრიდა. ვახტანგი მხოლოდ წალენჯიხას ან თბილისს კი არ მოკვდომია, არამედ სრულიად საქართველოს. იგი უდიდესი მოაზროვნე იყო. ტოლსტოის „ჰაჯი მურატში“ შამილის გარდაცვალების მერე კითხულობენ: ვინ იქნება მის შემდეგ. პასუხი ასეთია: შამილის შემდეგ იქნება ის, ვისაც ხმალი ალესილი აქვს და სიმართლეს იტყვისო. დიახ, ვახტანგს ხმალი ალესილი ჰქონდა, მაგრამ ეს ემსახურებოდა არა ვინმეს დაჩეხვას, არამედ სიმართლეს. იგი არასდროს გაგრძნობინებდა თავის წუხილს, ტკივილს. მას წუწუნი არ შეეძლო. იმით კმაყოფილდებოდა, რაც ჰქონდა, არადა, ბევრად მეტს იმსახურებდა. ახლა ეს ხმალი მის მეუღლეს, ქალბატონ თამარს აქვს ალესილი. ძალიან მიხარია, რომ „საერთო გაზეთი“ გრძელდება. იგი სახალხო გაზეთია თავისი დამოკიდებულებით სამშობლოსადმი, სახელმწიფოსადმი, ხელისუფლებისადმი. მინდა ხელისუფლებას მივმართო: ვახტანგი წალენჯიხიდან იყო და იმ სკოლას, სადაც იგი სწავლობდა, მისი სახელი უნდა ეწოდოს. ასევე, ქუჩას სადაც იგი დაიბადა, ვახტანგის სახელი მიენიჭოს. მკვლევარები, მეცნიერები თუ სხვანი, მზად ვართ, ამ პროცესში ჩავერთოთ, წერილი წარვადგინოთ, ხელი მოვაწეროთ, რათა მის სკოლას და ქუჩას ვახტანგ ხარჩილავას სახელი ეწოდოს. ჩემი ვახტანგი, ჩემი მეგობარი კაცის სული ცხოვრებას სხვა განზომილებაში აგრძელებს, მაგრამ იგი ჩვენთანაა. იგი ჩვენი სიხარულით ხარობს და ჩვენს ტკივილსაც განიცდის იქ, სადაც არის. მისი გარდაცვალების მერე „საერთო გაზეთში“ არაერთი ტკივილიანი მისამძიმრება გამოქვეყნდა. ასეთი მხარდაჭერა, რაც გაზეთში ვახტანგის მიმართ ვნახე, საოცარია. ეს გახლდათ გულწრფელი გამოხატულება მწერლების, აკადემიკოსების, რომლებიც წუხდნენ, რომ დიდი კაცი დაკარგეს. დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება ამ წყნარ, შესანიშნავ, ლამაზ კაცს მოვფერებოდი და ის სიტყვა მეთქვა, რისი თქმაც საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მინდოდა. მისი ნათელი, წმინდად უნდა შევინახოთ. იგი დიდ კაცად წავიდა და იქაც კაცი იქნება. მადლობა ქალბატონ თამარს, რომ ვახტანგის საქმეს აგრძელებს. ყველა ღირსეულად აგრძელებთ ვახტანგის დაწყებულ საქმეს. ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ ეს გაზეთი არ დაიკარგოს და როგორც ეს კაცი ანათებდა ჩირაღდანივით, ასევე გაგრძელდეს. მინდა, ეს ჩირაღდანი არასდროს დაიწვას. დიდი მადლობა გაზეთის კოლეგიას, რომ ვახტანგის სულის უკვდავსაყოფად მის გზას აგრძელებთ. „საერთო გაზეთი“ არის ვახტანგის ძეგლი და ამ ძეგლს უნდა მოუაროთ, გაუფრთხილდეთ. დიდი მადლობა ქალბატონ თამარს, კოლექტივს ამ ძეგლის შენარჩუნებისთვის. ჩვენც თქვენს გვერდით გვიგულეთ.

იგორ კვესელავა,
ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სანქციების მსოფლიო ისტორია

კარიბული ყულფი. როგორ გაუძლო თავისუფლების კუნძულმა ტოტალურ ბლოკადას

ეკონომიკურ იზოლაციაში ქვეყნების მოქცევა ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან უკვე დიდი ხანია, ხორციელდება. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ სანქციების დაწესებით იშვიათად მიიღწევა სასურველი შედეგები. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა კუბა, ირანი, ჩრდილოეთი კორეა, სირია და ვენესუელა, უკვე დიდი ხანია, ეკონომიკური სანქციების რეჟიმში ცხოვრობენ.

გთავაზობთ წერილების სერიას ეკონომიკურ იზოლაციაში მყოფი ქვეყნების შესახებ მოგითხრობთ, როგორ უმკლავდებიან დასავლეთის წნეხს, როგორ პოულობენ რეზერვებს და ეძიებენ განვითარების ახალ გზებს.

კუბის წინააღმდეგ ამერიკის ეკონომიკური სანქციები მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივია. დედამიწაზე ერთ-ერთი უკანასკნელი სოციალისტური სახელმწიფო ბოლო 62 წლის განმავლობაში თითქმის სრულ იზოლაციაში იმყოფება. მიუხედავად ეკონომიკაში არსებული ობიექტური სირთულეებისა, თავისუფლების კუნძულზე რევოლუციის მონაპოვარზე უარს არ ამბობენ.

საიდან დაიწყო მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური ბლოკადა, როგორ ცდილობდა

კუბა სრული იზოლაციის პირობებში თავის გადარჩენას და რატომ ვერ შეძლო ამერიკამ, შეეცვალა მისთვის არასასურველი რეჟიმი.

1960 წლის 7 აგვისტოს ჰავანის ცენტრალურ მოედანზე რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. ისინი ახალგაზრდა ქარიზმატული ფიდელ ალეხანდრო კასტროს მოსასმენად მივიდნენ. პოლიტიკოსმა ემოციურად წაიკითხა იმ დოკუმენტის ტექსტი, რომელმაც კუბის ისტორია ორ ნაწილად გაყო.

ლაპარაკი იყო იმ ამერიკული კომპანიების საკუთრების ნაციონალიზაციაზე, რომლებიც კუბის ეკონომიკის სასიცოცხლო დარგებს აკონტროლებდნენ. — ახალგაზრდა რესპუბლიკის მფლობელობაში გადადიოდა ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები, რომის, შაქრისა და სიგარების მწარმოებელი ქარხნები, სამოქალაქო სანაოსნო, ბანკები, რომელთა აქტივების ღირებულება იმ დროისთვის 650 მლნ დოლარს შეადგენდა.

ამერიკული პასუხი

„პლაზა რე ლა რევოლუსიონის“ მოედანზე გამოსვლამდე ერთი თვით ადრე კომანდანტემ ხელი მოაწერა დეკრეტს იმ ამერიკელების ქონების ნაციონალიზაციაზე, რომლებიც კუბაზე სახლებს ან მიწებს ფლობდნენ.

ამერიკამ ამას მყისიერად უპასუხა: ერთ თვეზე ნაკლებ დროში სენატმა მზარი დაუჭირა „საზღვარგარეთის ქვეყნების დახმარების შესახებ“ კანონში შესწორებებს, რიომლის თანახმადაც კუბისთვის ნებისმიერი სახის დახმარების გაწევა იკრძალებოდა.

ამას მოჰყვა ემბარგო კუბაში წამლებისა და პროდუქტების გარდა ნებისმიერი საქონლის შეტანაზე. ვინც მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდა, ამერიკა სანქციებითა და ურთიერთობების გაწყვეტით ემუქრებოდა.

უკვე 1962 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ხელი მოაწერა ბრძანებულებას კუბასთან სრული სავაჭრო ბლოკადის შესახებ. კარიბის კრიზისის ფონზე, როდესაც სსრკ-მ კუბაზე ბურთვულქობინებიანი რაკეტების განთავსება დაიწყო, კუნძული ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მოაქცია ალყაში. ორი წლის შემდეგ ემბარგოს ამერიკის სახელმწიფოების გაერთიანება შეუერთდა და კუბა ყველა სავაჭრო გზიდან მოჭრილი აღმოჩნდა.

რა არის კარიბის კრიზისი?

ამერიკულ ყულფს კუბისთვის მთლიანად უნდა გადაეკეტა ჟანგბადი, მაგრამ სსსრკ-სთან კარგი ურთიერთობების წყალობით შეძლო, ამ დარტყმისთვის გაეძლო. სსრკ ყოველწლიურად უგზავნიდა კუბას დაახლოებით 3 მლრდ დოლარის დახმარებას, მაღალ ფასად იძენდა მისგან რომს, ლერწმის შაქარს და თამბაქოს, კუნძულზე კი პირველადი მოხმარების ნივთები შეჰქონდა.

სანქციები კი მატულობდა და მატულობდა. კუბის ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიებმა და კარიბის ზღვაში აქტიურობამ ამერიკა აიძულა, მიეღო რიგი დამატებითი შეზღუდვები, რომლებიც დღესაც მოქმედებს.

1966 წელს ამერიკამ თავის მოქალაქეებს აუკრძალა კუბაზე ჩასვლა განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. მალევე შემოიღეს პასუხისმგებლობა ნებისმიერ კუბურ ორგანიზაციასთან და კომპანიასთან თანამშრომლობისათვის. 1980-იან წლების დასაწყისში კუბა ტერორიზმის სპონსორად გამოცხადდა.

რთული დროება

კუბა ნამდვილად ახორციელებდა მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციებს. კუბელი სამხედრო სპეციალისტები ამზადებდნენ აჯანყებულებს ანგოლასა და გრენადაში, შეიარაღებასა და ტექნიკას უგზავნიდნენ ევროპულ კოლონიებს მთელ მსოფლიოში. ორპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში დასავლეთის ქვეყნების რეაქცია გასაგები იყო, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სოციალისტურ ტროპიკულ სამოთხეს ეს პრობლემები ნაკლებად აწუხებდა.

მსოფლიო სოციალიზმის ეპოქის დასასრული კუბის ეკონომიკაზეც აისახა. 1989-1993 წლებში ქვეყნის ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 40 პროცენტით შემცირდა. რესპუბლიკიდან დაიწყეს გასვლა უცხოელმა ტექნიკურმა სპეციალისტებმა, რომლებიც მის მრეწველობას აძლიერებდნენ. დაიკარგა გასაღების ბაზარი ისედაც მრავალრიცხოვანი ექსპორტის გამო, დაზარალდა სოფლის მეურნეობაც — საბჭოთა კომბინირებული საკვების შეტანის შეწყვეტის გამო თითქმის მთლიანად გაწყვიტეს ოთხფეხა შინაური პირუტყვი.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა აშშ-მ, კიდევ უფრო გაემკაცრებინა კუბისთვის სანქციები. 1992 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი დემოკრატიული სოლიდარობის ორგანიზაციიდან კუბის გაძევების შესახებ, აკრძალა კუბაზე ფულადი გზავნილების გაგზავნა. საქმე ის გახლავთ, რომ კუნძულიდან წასული ადამიანები ახლობლებს ყოველთვიურად ასობით ათას დოლარს უგზავნიდნენ, რაც მის ეკონომიკას სავალუტო რეზერვების დაგროვებაში ეხმარებოდა. თეთრი სახლი დაიმუქრა, რომ იმ საერთაშორისო ინსტიტუტების დაფინანსებასაც შეწყვეტდა, რომლებიც კუბას სესხებს მისცემდნენ, ან სხვა სახის დახმარებას გაუწევდნენ მას.

იმავე წელს, კუბის დემოკრატიის შესახებ ამერიკის კანონის თანახმად, ნებისმიერ საზღვაო ხომალდს, რომელსაც კუბასთან ჰქონდა საქმე, ეკრძალებოდა ამერიკის პორტებში შესვლა. ამის შედეგად კუბაზე შეწყდა მედიკამენტებისა და სურსათის შეტანა და ქვეყნის ისტორიაში ყველაზე საშინელი პერიოდი დადგა.

კომანდანტე შეუვალი იყო. სიცოცხლის ბოლომდე მას არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ შეუძლებელია ამერიკული იმპერიის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა.

გარდაქმნა კარიბულად

ვერც ღირსება და ვერც შეუპოვრობა ვერ დაეხმარა კუბას იმ ობიექტური პრობლემების გადალახვაში, რომლებიც იქ ათასწლეულების მიჯნაზე გაჩნდა. ქვეყანაში თითქმის არ იყო შუქი, სასურსათო ნორმები ძალიან შემცირდა, ხოლო წამლების ნაკლებობის გამო სიკვდილიანობამ იმატა. ეკონომიკური რყევებისგან თავის დაღწევა კუბამ 1990-იანი წლების დასაწყისიდან შეძლო. ქვეყანამ მეურნეობის მართვის ახალი მეთოდების ძიება დაიწყო, 1994 წელს ეკონომიკის ჩამოშლა შეჩერდა და ნელ-ნელა აღდგენა დაიწყო.

მთავრობამ ტურიზმზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების გახსნაზე გააკეთა აქცენტი. გაჩნდა თანამედროვე სასტუმროები, გაფართოვდა იმპორტი და შემცირდა საბაჟო კონტროლი. ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა. ამერიკამ ვერ შეძლო ამის შეჩერება. უცხოურ კომპანიებს, ძირითადად, ჩინურს, უფლება მისცეს, ბიზნესი ეწარმოებინათ. მერიელის პორტში ბაჟის გარეშე რეჟიმი გამოცხადაა. მთავრობა ხშირად იმეორებდა, რომ ეს სოციალიზმიდან გადახვევა კი არა, გადარჩენისთვის აუცილებელი დროებითი ზომები იყო.

ამერიკამ აქაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კუბისთვის ხელი შეეშალა. თეთრმა სახლმა ამერიკელებს უფლება მისცა, კუბაზე წელიწადში მხოლოდ სამჯერ ჩასულიყვნენ და დღეში მხოლოდ 50 დოლარი დაეხარჯათ. კუბაზე გასამგზავრებლად ამერიკელებს სპეციალური ნებართვა სჭირდებოდათ. წესების დამრღვევს ციხე ემუქრებოდა. კუბელებმა გამოსავალი მაინც იპოვეს: ისინი ამერიკელების პასპორტებში არ აფისქირებდნენ საზღვრის გადაკვეთას. ამერიკელები კი სხვა ქვეყნებიდან შემოდიოდნენ და კუბაში ვალუტა შეჰქონდათ.

მკვეთრი ცვლილებები 2000-იანების დასაწყისიდან დაიწყო, როდესაც მძიმედ დაავადებულმა ფიდელ კასტრომ ძალაუფლება თავის უმცროს ძმას, რაულს გადააბარა. 2008 წელს რაული სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელად აირჩიეს, 2011-ში კი კუბის კომუნისტურ პარტიას ჩაუდგა სათავეში.

რაული უფრო ზომიერი შეხედულებების მომხრე იყო. მან საზოგადოებისა და სახალხო მეურნეობის ლიბერალიზაცია დაიწყო. მოქალაქეებს მეტი თავისუფლება მიენიჭათ, ლეგალიზებული გახდა მცირე და საშუალო ბიზნესი, შემცირდა ბიუროკრატიული აპარატი. ფერმერები თვითონ განსაზღვრავდნენ, რას დათესდნენ, ქალაქის მაცხოვრებლებმა კი ბინების პრივატიზება დაიწყეს.

რაულ კასტრო ახალ რეფორმებს სოციალისტური წყობის გადამრჩენ საშუალებად მიიჩნევდა. ამ ფონზე დაიწყო ამერიკული სანქციების შერბილება. 2015 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღადგინა კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობები. ამერიკელებს კუბაში შესვლისა და დიდი რაოდენობით ვალუტის ხარჯვის უფლება მიეცათ. აღმოიფხვრა წინააღმდეგობები ჰუმანიტარული მისიების მუშაობისთვის, ტურიზმისა და საფინანსო მოღვაწეობისთვის.

იმ პერიოდში კუბის მიმართ სანქციებზე უარი თქვა ყველა ქვეყანამ, ევროპელი პოლიტიკოსები მოუწოდებდნენ ამერიკას, გაეუქმებინა ემბარგო. მათ შეუერთდნენ რუსეთი, ჩინეთი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები.

2014 წელს რუსეთმა კუბას 31,7 მლრდ დოლარის ვალი აპატია. კუბელებისთვის დახმარების აღმოჩენისა და ბლოკადის მოხნის მოწოდებით რომის პაპიც კი გამოვიდა.

აშშ-ში ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ სიტუაცია კვლავ გართულდა. მან ბარაკ ობამას მოქმედება შეცდომად აღიარა და 2017 წელს ემბარგოს გაგრძელების შესახებ განაცხადა. ორი წლის შემდეგ კი საკრუიზო ხომალდებს კუბაში შესვლა, კერძო და კორპორატიულ თვითმფრინავებს კი გაფრენა აუკრძალა.

იმ დროისათვის კუბამ უკვე გამოძებნა ბლოკადასთან გამკლავების გზები. ახალმა პარტნიორებმა ქვეყანას გაუადვილეს ამ ამოცანის გადაჭრა, მაგრამ კუბის ხელისუფლება იძულებული იყო, არასტანდარტული გადაწყვეტილებისთვის მიემართა და სწრაფად ცვალებად სამყაროში ადაპტირებულიყო.

ამერიკული სანქციების შედეგად კუბამ 150 მლრდ დოლარის ზარალი იწვნია.

(გაგრძელება იქნება)

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ბიძინა ივანიშვილი, დედამიწაზე ჩამოტანილი სამოთხე და ახალი „რელიგია“ ბოროტთათვის

ვახტანგ ხარჩილავა

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დენდროლოგიურ პარკს ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა და ისეთივე ღირებულება აქვს საქართველოსთვის, როგორც ფიროსმანის ტილოებს, როგორც ვაჟა-ფშაველას პოეზიას, როგორც გუდიაშვილის ნახატებს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“...

ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი ახალი შედევრით — დენდროლოგიური პარკით შეკვეთილში, რომელიც დედამიწაზე ჩამოტანილ სამოთხეს ჰგავს.

ბიძინა ივანიშვილის მიერ ხორცშესხმულ პროექტებს რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები: ეს კაცი მეცენატი, ქველმოქმედი და ბიზნესმენი კი არ არის მხოლოდ, ის ნამდვილი შემოქმედია, რომელიც, მართალია, არ წერს ლექსებს, არ ხატავს, მაგრამ, სინამდვილეში, პოეტიც არის და მხატვარიც, რომელიც საოცარ შედევრებს ქმნის.

იმდენად დახვეწილი, ნატიფი და გრაციოზულია გარემო, რომელიც აქ გხვდება, თუ შინაგანად პოეტი და მხატვარი არა ხარ, ამ გარემოს ვერ შექმნი, ვერ შეთხზავ, ვერ გარითმავ...

თითქოს ირეალურ, მისტიკურ სამყაროში ხარ და შენს ადგილს შენს მნიშვნელობას, შენს პასუხისმგებლობას ამ საოცარი სამყაროს მიმართ, სულ სხვანაირად იაზრებ.

დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში გამონაკლისი არ არის — მთელი საქართველო ბიძინა ივანიშვილის სხვადასხვა ჟანრის შედევრებით არის მოფენილი.

ამ შედევრების ფონზე რაოდენ მდაბიური, სამარცხვინო და სასაცილო ჩანს ის ქირდვა და კილვა, რომელსაც მავანნი და მავანნი ივანიშვილის მისამართით აღავლენენ ხოლმე.

●

როგორი ბოროტი უნდა იყო და როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, რომ ადამიანი, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული შენი ქვეყნისთვის, ასე გძულდეს და დღედაღამ იმაზე ფიქრობდე, როგორ გალანძღო, როგორ დააკნინო, როგორ დაასუსტო, როგორ დაამარცხო?

იმაზე დიდი უბედურება რა არის, როცა ეგოიზმი, ამპარტავნება, ძალაუფლებისკენ ლტოლვის მანიაკური სურვილი ისე დაგაბრმავებს, რომ ვერ გრძნობ და ვერ ხვდები, ბიძინა ივანიშვილს კი არა, საკუთარ ქვეყანას რომ ებრძვი, საკუთარ ქვეყანას რომ მოკიდებიხარ მოსისხლე მტრად?

სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: როცა კითხვას ასე სვამ: რაში მაინტერესებს, რაღაც-რაღაცებს რომ აშენებს, პირადად მე რა გამიკეთა ბიძინა ივანიშვილმაო, ეს ნიშნავს, რომ პირადად შენ არ გრძნობ თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ, თორემ მიხვდებოდი, ეს სამების ტაძარიც, ეს დენდროლოგიური პარკიც, ეს „ბლეკსი არენაც“, ეს ამდენი სკოლა და თეატრი სწორედ რომ შენ აგიშენეს, შენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს აუშენეს, იმ შენს შთამომავლებს აუშენეს, რომლებიც საუკუნეების შემდეგ უნდა მოვიდნენ.

ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს, არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, ეს არის კარგად გათვლილი და გაანგარიშებული ქვეყნის განვითარების, ქვეყნის აღმშენებლობის კონცეფცია, ეს არის სწორედ სტრატეგია აღმაშენებელი, რომელზეც პატარა ვაშაძე ზეპირსიტყვიერად ჟღურტულებს, ივანიშვილი კი საქმით ახორციელებს.

●

საქართველოში ახალი „მორალი“ მკვიდრდება — აუცილებლად უნდა ლანძღო და უნდა აგინო მას, ვინც სიკეთე გაგიკეთა.

განსაკუთრებული ხალისით და ენთუზიაზმით ამას ბიძინა ივანიშვილის მისამართით აკეთებენ.

თითქოს თავს ვალდებულად თვლიან, მოიხადონ „წმინდათაწმინდა ვალი“ და აუცილებლად ტალახის გუნდა ესროლონ კაცს, რომელიც გაჭირვების დროს უყოყმანოდ დაუდგა გვერდით მას, მის ოჯახს მის საახლობლოს.

ეს რაღაც ახალი „რელიგიაა“, ახალი სექტაა, რომელიც უზნეობით, უსირცხვილობით, უტიფრობით გაკვირვებს და გაშინებს კიდეც — შეიძლება ადამიანი ასეთი სულმდაბალი, უმადური და უზნეო იყოს?

ერთი პოლიტიკოსი ტელეეკრანიდან ყვებოდა, როგორ დაკარგა ხმა, როგორ აიძულა მერე ბიძინა ივანიშვილმა საზღვარგარეთ წასულიყო

სამკურნალოდ, როგორ დაუფინანსა მკურნალობის ხარჯები და როგორ დაუბრუნდა ხმა.

ივჯდა ახლა ეს ტიპი და ივანიშვილის მიერ დაბრუნებული ხმით ივანიშვილს ლანძღავდა და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა.

ბიძინა ივანიშვილის ლანძღვის „მამულიშვილურ საქმეში“ ერთი პოეტის ქალიშვილი აქტიურობს ბოლო ხანებში ნამეტნავად — ბიძინა მაოხრებელიო, ბიძინა ასეთი და ისეთიო, ბიძინას რუსულ ორბიტაზე გაჰყავს ჩემი ქვეყანა და ამას როგორ ვაპატიებო.

არადა, ამ „ბიძინა მაოხრებელს“ იმდენი ამაგი აქვს პოეტის ქალიშვილის ოჯახზე, მამამისზე, მის ძმაზე, ენა როგორ უნდა მოუტრიალდეს მის კეთილისმყოფელზე ამდენი ბოღმა და გესლი ანთხიოს.

ეს მაინც ვერ ჩერდება, ვერ ოკდება და რუსეთი და ბიძინაო, ჩაუხვევია.

რა რუსეთი და ბიძინა აგიკვიატებია, ქალბატონო, მაშინ როცა მთელი შენი საგვარეულო რუსეთს და საბჭოთა კავშირს ემსახურებოდა.

საკაშვილის ბაბუა 37-იან წლებში „უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე რომ ბრძანდებოდა, ბაბუაშენის ძმა ცეკას მდივანი იყო და მოდიოდით ასე ხელიხელჩაკიდებული დიდ საბჭოეთთან ერთად და საბჭოეთის მიერ ბოძებული ყველა პრივილეგიით სარგებლობდით.

რაც შეეხება პოეტის ქალიშვილობას, მამის სახელს ისე დიპლომატიურად გაურევთ ხოლმე თქვენს მკვახე პოლიტიკურ განცხადებებში, თითქოს ვიღაცას აფრთხილებდეთ — არაფერი შეგეშალოთ, მე ამა და ამ პოეტის ქალიშვილი ვარო.

კარგით რა, კარგით რა, მამათქვენზე გაცილებით ნიჭიერი პოეტებიც ვიცით, ჩვენ, რომლებსაც თქვენზე ნაკლები შვილები არ დარჩენიათ, მაგრამ მათ არავინ შეუწუხებიათ — არიან თავისთვის წყნარად და მოკრძალებულად და არავის არაფერს სთხოვენ.

თქვენი ისეთი რა ვალი აქვს საქართველოს, რომ აქამდე ვერა და ვერ გადავიხადეთ და თქვენი ამბიციები ვერ დავაკმაყოფილეთ.

ამასწინათ განსაცდელში ჩავარდნილ კიდევ ერთ ადამიანს გაუმართა ხელი ბიძინა ივანიშვილმა და საზღვარგარეთ ხანგრძლივი და ძვირადღირებული მკურნალობის ხარჯები მთლიანად თავის თავზე აიღო.

სანამ ეს უბედურება დაემართებოდა, ეს ადამიანი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ივანიშვილის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები არ ესროლა.

ახლა ცუდადაა. ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ექიმებს იმედი აქვთ, რომ მალე გამოჯანმრთელდება და მეტყველების უნარიც დაუბრუნდება.

ეს კარგია, თუმცა მეშინია, ენას რომ ამოიდგამს, ეგრევე ივანიშვილის გინება არ დაიწყოს.

ახალი „მორალის“, ახალი „რელიგიის“ მიხედვით, სავარაუდოა, რომ ასე მოიქცევა...

●

მრავალ ქებულ თვისებათა შორის კიდევ ერთი საოცარი პიროვნული თვისება აქვს ბიძინა ივანიშვილს — არასოდეს რეგირებს უმადურებზე და უმადურობაზე, არასოდეს ღიზიანდება.

სხვას მის ადგილზე, ამდენი უმადურობით გულნატკენს და გაბრაზებულს, შეიძლებოდა ხელი ჩაექნია და — დამანებეთ თავი, მაინც ვერაფერი დაგანახეთ და შემეშვითო — ეთქვა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს საყვედურის ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია არასოდეს — მშვიდად და აუღელვებლად აკეთებს იგივეს, რასაც აქამდე აკეთებდა.

ასე მხოლოდ ძალიან დიდბუნებოვან, ძალიან კეთილშობილ ადამიანს შეუძლია მოიქცეს, რომელიც სიკეთეს იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ვინმემ დაუფასოს ან მადლობა უთხრას, არამედ იმიტომ, რომ სიკეთის კეთება მისი ცხოვრების წესია, მისი შინაგანი ვალდებულება და მოთხოვნილებაა.

●

ქართველი ერი თავის სიმაღლეზე რომ იყოს, ვიღაც სალახანები და ვიგინდარები ბიძინა ივანიშვილზე აუგის თქმას ვერ უნდა ბედავდნენ.

ვფიქრობ, ეს ჩვენი სირცხვილია, მე ვიტყოდი, ეროვნული მასშტაბის სირცხვილი.

ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენ ასეთ სირცხვილებს ბევრჯერ შევგუებივართ, მერე კი მწარედ გვინანია, რადგან დრო გასულა და ეს ყველაფერი დიდ უბედურებად მოგვტრიალებია უკან.

უზნეობასთან შეგუება, უზნეობასთან კომპრომისი ერის სულსა და გონებას ალპობს და აჭაობებს.

განა მხოლოდ პერსონალურად ბიძინა ივანიშვილს აყენებენ შეურაცხყოფას ეს ბოროტი ძალები, თითოეულ ქართველს, თითეულ ჩვენგანს აფურთხებენ სულში და ცინიკურად გვეუბნებიან: ვინც ყველაზე დიდ სიკეთეს გიკეთებთ, იმას გაგილანძღავთ და ხმას ვერ ამოიღებთ. ვინც თქვენი ყველაზე დიდი მოამაგე და ჭირისუფალია, იმას ვესვრით ტალახს და ვერ დაიცავთ. ვინც სამების ტაძარი აგიშენათ, ვინც ეს დენდროლოგიური პარკი გაგიშენათ, ვინც უამრავჯერ გიხსნათ განსაცდელისა და გაჭირვებისგან, იმას დავესევით ბუზანკალებივით და ვერ გამოექომაგებით. რა ხალხი და რა ქვეყანა ხართ თქვენ ყოველივე ამის შემდეგ?

აი, ასე წვეთ-წვეთად აყალიბებენ ჩვენში არასრულყოფილების კომპლექსს, უღონობის, უილაჯობის, სიბეჩავის, უთავმოყვარეობის სინდრომს, რომ მერე საკუთარი ხელით დაგვანგრევინონ საკუთარი ქვეყანა და საკუთარი ხელით გაგვათხრევინონ საკუთარი საფლავი.

მართლაც რა ხალხი და რა ქვეყანა ვართ ჩვენ, ამას რომ ვერ ვხვდებით?

●

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დენდროლოგიურ პარკს ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა და ისეთივე ღირებულება აქვს საქართველოსთვის, როგორც ფიროსმანის ტილოებს, როგორც ვაჟა-ფშაველას პოეზიას, როგორც გუდიაშვილის ნახატებს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.

„სბ“ N21. 2020 წ.

ლუსინკა ხარ თუ გალკა, მოდი რა, შეგვეშვი!

ხახოლურო ნავო, გაუყევი რუსული გემის კვალს!

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველის ალექსეი არესტოვიჩის მორიგ განცხადებას საქართველოს მისამართით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა თუ რიგით მოქალაქეებში სერიოზული გაღიზიანება მოჰყვა, იმდენად, რომ სოციალურ ქსელებში არაერთმა დაწერა: „ვისაც უკრაინის დროშა გიყენიათ საკუთარ ფოტოზე ან „სლავა უკრაინე“, თქვენით გადით ჩემი სამეგობროდანო.

ნამდვილად! არ მჭირდება მეგობრადწოდებული არავინ, რომელიც ყოველდღე შემიგინებს ოჯახს და ოჯახის უფროსს!

მისი ლაყლაყის მდინარება ასე იყო: ჟურნალისტმა არესტოვიჩთან საუბრისას აღნიშნა, რომ 300 000 რუსი ჩამოვიდა საქართველოში, ანუ 3 მლნ-იანი მოსახლეობისთვის 10% და ეს დიდ პრობლემად იქცა საქართველოსთვის. ჯერ იმ ყურფიჩორა ჟურნალისტის გამოარითმეტიკებული თვალების ჭკუა ვატირე, სად დათვალა ამდენი რუსი და შემდეგ ყიამყრალა არესტოვიჩისა.

არესტესტოვიჩი: „ეს არის კატასტროფა, მით უმეტეს, პრო-რუსული მთავრობის გათვალისწინებით, რომელსაც არ აქვს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილებები და გაანადგურა ყველაფერი, რაც შექმნა საკაშვილმა: ხელახლა კორუმპირებული პოლიცია, სადაც ყველაფერი იყიდება, როგორც თავად ქართველები ამბობენ და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნული უსაფრთხოების გრანდიოზული პრობლემაა. წარმომიდგენია, როგორ იგლეჯენ თმას ისინი, რომლებიც დღეს საქართველოში პატრიოტულად არიან განწყობილი სპეცსამსახურებში, მთავრობაში. როგორ უნდა გადაწყდეს ეს დიდი პრობლემა — ჩვენ მოვახდენთ იქ ძალის პროექცირებას. მოგვიწევს ქართველების გადარჩენა, მოლდოვას გადარჩენა, სომხეთის გადარჩენა — ყველას გადარჩენა. ეს კარგი ისტორიაა, რადგან მილიონი ჩვენი ნაომარი ბიჭისა და გოგოსთვის ყოველთვის მოიძებნება სამუშაო უახლოეს მომავალში პოსტსაბჭოთა სივრცეში... მშვიდობისმყოფელები, სტაბილური ოპერაციები, ჰუმანიტარული ოპერაციები და ა.შ. ეს ყველაფერი ხომ როგორღაც წესრიგში იქნება მოსაყვანი.“

ეს ჩვენის გადანგრეული რომ ერთი ვიღაც უკრაინელი სალაყლაპია რიგითი ხახოლი იყოს, თავში ქვა უხლია, დაღლამდე იშტერაოს, მაგრამ კაცი ხელისუფლებაშია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველია და ეს არის პრობლემა. ფაქტობრივად, სახელმწიფო პოზიციას ახმოვანებს და რა უნდა იფიქრო, რაღაც ძალიან ცუდის წინაპირობას ხომ არ ჰგავს? პოსტ-საბჭოთა სივრცეში წესრიგის დამყარების სურვილი — სხვა კი არაფერი უნდა რუსს...

რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მალევე გავიგეთ, რომ ქართველები კარგები ვართ, ხელისუფლება გვყავს ცუდი, მაგრამ რა ნიშნით დაიდო ეს დასკვნა, საინტერესოა. ვფიქრობ, 24 თებერვალსვე რომ „სლავა უკრაინეს“ ყვირილით დედა-წულიანად არ გავენთეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საომრად. ეს ჩვენის გადანგრეული ამ ჩვენს დედოფლისწყაროში (მაშინ წითელწყარო იქნებოდა) რომ იშვა დედიმისისგან, რამე „ზუბი“ ხომ არ აქვს ჩვენი? დარწმუნებულია, რომ არესტოვიჩია და არა, ვთქვათ, ყოჩიაშვილი? აბა, რას აგვითვალწუნა?

ის ხომ იქით უბერავს და აქედან რომ ხმლის ქნევისგან დაცვარულ ღაწვებს წმენდენ ქართველი უკრაინელები, ის მეორე ამბავია. ჯერ ვინ შაშა-კოლა „სტრატეგია აღმაშენებელია“, ვის დაჰკარგვია და ახსნა წამოიწყო „დიდმა პაატამ“ (მანჯგალაძე), ესა, კაცო, „ჰეროიკული რიტორიკაა“, თავის ხალხს ამხნევებსო...

ალექსეი არესტოვიჩი, დავით არახამია, მიხაილო პოდოლიაკი, ოლექს-ალექს გონჩარენკო, ოლექს-ალექს დანილოვი, ანდრეი ერმაკი და „გლავკაცი“ ვოლოდიმირ-ვლადიმერ ზელენსი თავისი ხალხის ისე ნამეტნავად შემძახებლები არიან, კავკასიონ-საქეთ გადმოშხუის მათი საომარი ყიჟინა, რაც ასე იკითხება: თქვენ კი ამოწყდით ერთ დღეს, რით ვერ შეგაბით, გახსენით მეორე ფრონტი!

ომი აქვთ, თავზე ექცევათ უკრაინა და ამათ საქმე არაფერი აქვთ, დგანან და პოლიტიკურად ხელცქვიტობენ, რაღაც სასანქციო სიებს ადგენენ. ბოდიში მომითხოვია და, ვის რა დედაბერი უნდა მოუკლან? ჩვენ ჩვენი მხრიდან აგვიჩემებია, რომ საქართველოს ჰყავს მეგობარი ხალხი უკრაინელები და არა „უკრაინის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ქართული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უკრაინელი მეგობრები. ისეთ მოცემულობას ქმნიან, რომ „მეგობარი უკრაინა“ არის ქართულ-უკრაინული „ენმ“ კავშირი, ვისი მეგობარიც ჩვენ ვერ ვიქნებით, „ტამბოველ მგელს“ ემეგობრონ!... ბედნიერია, ვისაც ჰგონია, რომ კონკრეტულ პერსონალიებს ერჩიან, ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილს ან ბიძინა ივანიშვილს, თორემ დანარჩენი საქართველოს ხსენებაზე ჭკუა ეკეტებათ სიყვარულისგან. საქართველოში შემოჭრა ჰქონიათ ოცნებად და „ქართული ოცნება“ ებლანდებათ ფეხებში... კარგი სასეირო კი იქნება, ღრმა სიყვარულით „უკრაინის დემოკრატიული რესპუბლიკა — საქართველო“ თუ დაგვერქმევა...

ზელენსკის მთავრობის გადაწყვეტილება საქციებზე, ევროსაბჭოს რეზოლუციაში საკაშვილის ჩამატება პოლიტპატიმრად და ახლა კიდევ არესტოვიჩის მუქარა — ამაზე მეტი რანაირადღა უნდა გამოხატოს უკრაინამ ამ ეტაპზე აგრესია? რატომ ვიცით რაღაც აკვიატებები, რა „მოძმე ერი“ და „სტრატეგიული პარტნიორი“, როცა მხოლოდ მცირეხნიანი მეგობრები არსებობენ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაცაში საერთო ინტერესები იკვეთება. რა გვაქვს საერთო ინტერესი ამ ფაშისტურ-ოკუპანტური გამოხტომების მქონე უკრაინასთან, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო ინტერესები გვაქვს...

24 თებერვლიდან მოყოლებული, რა გველი შევუწვით, პირიქით, მზრუნველობა არ მოგვიკლია უკრაინელი ხალხისთვის, რაც შეუძლია ქვეყანა საქართველოს, ყველანაირად გვერდში დავუდექით, ლუკმას ვუყოფთ და ვეფერებით, ვზრუნავთ და ვუთანაგრძნობთ, მაინცდამაინც მათი 2 სურვილი უნდა შევასრულოთ — „ენმ“ დავაბრუნოთ ხელისუფლებაში და ომი გამოვუცხადოთ რუსეთს?

საქართველოში არაერთხელ იყო „უკრაინა“, მაგრამ მაშინ უკრაინას წარბიც არ შესთამაშებია, რუსეთთან ერთად ერთიან სლავ ხალხად გრძნობდნენ თავს და ძალიან კარგად იყვნენ ჩვენი მეგობრობის გარეშეც. ტარანი თვლითაა! აბა, ვინმემ გამახსენოს, რა მხრივ დაგვიდგნენ მხარში თუნდაც ბოლოს 2008 წელს, მათმა გურუ საკაშვილმა კონსტიტუციური წესრიგის დამყარების ეგიდით ხონჩით რომ მიართვა საქართველოს ტერიტორიების გვარიანი ნაწილი იმავე რუსთხელმწიფეს, დღეს რომ „სატანა პუტინი“ გახდა და მაშინ ვითომ თეთრ ფრთებს ატყლაშუნებდა...

ისრაელმა საერთოდ არანაირი დახმარება არ გაუწია, თურქეთი „ბაირახტარებს“ აძლევდა და შეუზღუდა, ბელარუსი ღიად მხარდამჭერია რუსეთის და პრეტენზია არ აქვთ, წავლენ, წამოვლენ და გამოგვენთებიან, რაღაცის გამო (ვითომ არ ვიცით) შურისმაძიებლების სახით გვევლინებიან. ოპერაცია „სმეტან კონტეინერსკი“ რომ „ვირის აბანოში“ ჩაუვარდათ კუჭში გაუვალობით, მას შემდეგ მოგვეკიდნენ მტრად და უკრაინის ელჩი რომ აგვაცალეს ფუკასავით, იქიდან მოყოლებული ველარ დაშოშმინდნენ, ყოველგვარი მტკიცებულების, ფაქტის, ახსნა-განმარტების გარეშე საქართველოს დამაზიანებელ განცხადებებს ისე ისვრიან, თითქოს საქართველო ან უკრაინის ვასალი იყოს, ან რაიმე

მოვა დრო და შეიძლება გაიცეს ბრძანება:

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს თუ მოვუსმენთ, შეიძლება იმ დასაკვნამდე მივიდეთ, რომ უკრაინის ხელისუფლება რუსეთის პარალელურად საქართველოსაც ებრძვის.

მართალია, ჯერჯერობით, ომი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ასეთი ტემპებით თუ იარეს, შეიძლება არც მაგას მოერიდონ.

ჯერ იყო და უკრაინის ელჩი გაიწვიეს საქართველოდან, მერე კვირაში ერთხელ მაინც ხან ზელენსკი გვაყენებს შეურაცხყოფას, ხან არახამია, ხან არისტოვიჩი.

რუსეთთან ომი აქვთ უკრაინელებს და რუსეთიდან არ გამოუწვევიათ ელჩი, არც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გაუწყვეტიათ რუსეთთან, საქართველოდან კი ელჩიც გაიწვიეს და სანქციებთან შეერთებას და მეორე ფრონტის გახსნასაც გვთხოვენ.

ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, საქართველოსაც ეომებით თქვენ თუ რაშია საქმე?

თუ გვეომებით, ბარემ ისიც აგვიხსენით, რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ საქართველომ ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია უკრაინას და ომს და უბედურებს გამოქცეულ უკრაინელებს აქაც ხელისგულზე ვატარებთ?

რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნას, ჩვენ რომ აქ ფრონტი გვქონდა გახსნილი რუსებთან, უკრაინელებისთვის არ გვიკადრებია, სასწრაფოდ დაიწყეთ ომი რუსებთან, რომ ის ბომბები ჩვენ რომ გვეყრება თავზე, რუსებმა თქვენ დაგაყარონო.

რაღაც უცნაური ხასიათი აქვს ამ რუსულ-უკრაინულ ომს — რუსები ბომბებს აყრიან თავზე უკრაინას, ამერკიელები და ევროპელები — მილიარდებს.

— კიდევ გვინდა, არ გვყოფნის, თვეში ოთხ მილიარდამდე გვჭირდება, — წუწუნებს უკრაინის ხელისუფლება და აყრიან და აყრიან რუსები ბომბებს, რაც ავტო-

აქტით ანგარიშვალდებული. ვირო, მადლიო, რააა!...

არაო, არ იმუქრება, ჰეროიკული რიტორიკაა, საკუთარი ხალხის გასამხნევებელიო! „დიდო პაატა“, ვადაგასული ან ძირსნაყარი ხომ არაფერი მიგირთმევიათ? ადამიანი თავის „პაცნებით“ შემოსვლას აანონსებს, ნაომარი უკრაინელი უსაქმურების საქართველოში „დასაქმებითა“ და წესრიგის დამყარებით იქადნება და რა, „შუპუტცერად“ მოჰყავს? ისე კი, არესტოვიჩის მუქარას აღსრულება რომ ეწეროს, ყველა მიშისტი ჩადგება მისი არმიის რიგებში საქართველოს გასანადგურებლად, რადგან მათთვის „ქართული ოცნება“ კი არ არის საძულველი, ის საქართველოა მოსასპობი, რომელმაც „ქართული ოცნება“ მოიყვანა და სნეული ხვადაგი, მიშა ვერ შეიყვარა...

ისე, საინტერესოა, იმხელა მილიონიან უკრაინულ უსაქმურთა არმიას გამოკვება ხომ მოუნდება და ჩვენივე გაგზავნილ ჰუმანიტარულ ტვირთს აიკიდებენ პირადი საჭიროებისთვის თუ მზა უნდა დავახვედროთ და კიდევ უფრო მეტიც? და კიდევ, ჩვენამდე მოლდოვა რომ გაანთავისუფლოს რუსეთთან ჩამარყუჟებისგან, არ უნდა?

ესენი ვინ ყოფილან, რუსების გაუარესებული ვარიანტი გამოდიან...

დიდო ალაჰ, ვიშნუ, კეცალკოატლო და ყველავ, კიდევ კარგი, უკრაინაც ჩვენი მეზობელი არ არის!...

უკრაინის გავარვარებულმა თავებმა ძალიან კარგად იციან, რომ მათი ზღვარსგადასული ტალახიანი გამოხტომები მხოლოდ საქართველოს არ სვრის, უკრაინასაც გვარიანად ეწუწება, რაც არც ერთს არ დაუმსახურებია, მაგრამ არ ანაღვლებთ და რა ქნან, იძულებით, თუნდაც მოსაჩვენებლად, ვერ ნაღვლობენ? ეს ის არესტოვიჩი არ არის, რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად თვალშისაცემად აქტიურად რომ გამოდიოდა და სამოქალაქო ომით იმუქრებოდა, თუ გათვალისწინებული არ იქნებოდა რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესები?

გასაოცარი ამბავია სწორედ! უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები „ფეიკია“ თუ სინამდვილე? აბა, რა ხდება, რომ უკრაინის ხელისუფლებად წოდებული დასმული „შპანა“ საკუთარ გადაბუგულ ტერიტორიებზე, დაღუპულ თანამემამულეებზე, ომს შეწირულ ბავშვებზე, ქალებზე, მოხუცებზე კი არ სწუხს, არამედ იმაზე, რომ საქართველოში მშვიდობაა!

კაცმა რომ თქვას, რაც დაათესინეს „ქართულ ოცნებას“, იმას ვიმკით მცირე თუ ფართო მასშტაბით. საქართველომ სამართალისა და სამართლიანობის აღდგენა-დაკანონება შეუკვეთა „ქართული ოცნებას“, მაგრამ ჩამოვიდა კოჰაბიტაცია. ისე გამოვიდა, რომ სერიოზული სადისტურ-კრიმინალური ნაც-ბოლშევიკური ბანდა აბსოლუტურად მშვიდად, გისოსების გვერდისავლით ბედნიერად მიავლინეს უკრაინაში. და რას ელოდა ვინმე, რომ გისოსებსთავსარიდებული იძულებით გადაადგილებული ნაც-ბოლშევიკები საქართველოს სასარგებლოდ გაირჯებოდნენ ერთი წამით მაინც? აქ, თავიანთ სამშობლოში, სადაც თვითონვე სუნთქავდნენ და ბატონობდნენ, არაფერი გაუკეთებიათ სასიკეთო და ცხრა მთასიქიდან გააკეთებდნენ? სხედან უკრაინაში თბილად მოკალათებულები და ეწევიან თავდაუზოგავ ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც შეფუთულია ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლით. ასე რომ, ზელენსკი იქნება, არესტოვიჩი თუ ტარას ბულბა თავისი გამოხტომებით, სწორედ კოჰაბიტაციის ნაყოფია და საძიებელი თავი კოჰაბიტაციის გამომგზავნთანაა მოსაკითხი. ის საცდელი სანქციებიც მათთანაა მოსაკითხი, ასეა ეს!

კრებსითი არესტოვიჩების გამოხტომებიდან ერთი რამ არის გასაგებელი — ჩვენ ერთხმად ვთანხმდებით, რომ გმირ უკრაინელ ხალხს ვგულშემატკივრობთ და არა ზელენსკ-არესტოვიჩებისა და ქართველი ნაცების გაერთიანებას, მაგრამ აბა, ვისით დაგვემუქრა არესტოვიჩი? ვისით და, დასავლელი პარტნიორების დახმარებით შექმნილი „კარგი და მოძმე უკრაინელების“ მილიონიანი არმიით ჩვენ რომ ვუთანაგრძნობთ და ზოგი სულაც აბოდებს. ეს არმია იმ მავნებლებისაა, „არესტოვიჩები“ რომ ჰქვიათ და ფეხზე ჰკიდიათ მარჯვნიდან უთანაგრძნობ თუ მარცხნიდან, ზევიდან თუ ქვევიდან, უცბად გახდები „ჩორნაჟოპი გრუზინი“...

ისა და, „განუბაჟებელი არაჟნის“ გამოსახნელად მოდის კეკლუცი არესტოვიჩი მილიონიანი არმიით? უკრაინა თუ ისეთივე მართალია რუსეთთან, როგორი მართალიც საქართველოსთან გამოხტომებშია, მართალი რუსეთი ყოფილა... პირადად ჩემთვის უკრაინა მაშინ დაეშვა თავქვეზე, როდესაც 46-მილიონიანმა ქვეყანამ უკრაინაში ვერ გამოძებნა რესურსი და საქართველოდან დასავლურ ამანათად გაგზავნილ-გადაფუთული ქართველი კრიმინალები წამოასვა თავზე უკრაინას...

დიახ, ერთი პროექტის თოჯინები არიან კრებსითი ზელენსკი და კრებსითი სააკაშვილი, ორი მაოხრებელი თავისი ქვეთოჯინებით... რაღაც ვერ გათვალა, არ გამოადგა თოჯინად ბიძინა ივანიშვილი და არესტოვიჩების სახით გველობს თოჯინების გამომშვები ფაბრიკის დირექტორი... არა ბიჯო და უკრაინას ეომება რუსეთი... (ირანი მხარედ გამოაცხადეს, რუსეთს დრონებს აძლევსო... აშშ და ლამის მთელი ევროპა რომ შეიარაღებას აწვდის უკრაინას, ისინი მხარე არ არიან?)

მოკლედ, შეგვიკლეს ამ „უცნაურმა მეგობრებმა“ და აქ კიდევ „უკრაინაში ომია და თმენის ვალდებულება“ დაუჩემებიათ ხელისუფლებაში. საქართველოს უკრაინაში ელჩი არ ჰყავს? ის მაინც ჩამოვიყვანოთ „საკონსულტაციოდ“, როგორც უკრაინამ გააკეთა; იმ ფონზე, მილიარდებს რომ იჯიბავენ კრებსითი ზელენსკები და თავისი ხალხი აქ ჩვენ გვაწევს ტვირთად, ის დახმარებაც მოუხსენით; როგორც სხვას, მათაც დაუწესეთ ერთწლიანი ყოფნის უფლება და მოათავეთ ეს ბალაგანი!.. არავინ აქედან წამსვლელი აღარ არის, რადგან იწყებენ თავის საქმეს, საქმდებიან, თან გვლანძღავენ, სანქციებს გვადებენ და გვემუქრებიან, ზედდართული სხვების შემოერთებას ელიან და არეულობის მოწყობას გეგმავენ... რაო, რუსი დეზერტირები რუსეთის დესანტია და უკრაინელი დეზერტირები ფინია ალერსოვიჩები?

უკრაინაში რომ ომია და საქართველოს ეუბნებიან, შენთანაც ომი უნდა იყოსო, ამიტომ უნდა შეწყდეს ყოველგვარი თმენის ვალდებულება, თორემ იმ თევზს ვემსგავსებით, ბევრი რომ აქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლით აქვს სავსე. კბილით გვიკავია მშვიდობა, დენთის კასრზე ვსხედვართ ყველა მხრიდან და კიდევ ამ „ომისტების“ გამოხტომები ითმინე კაცმა! ვინ გამოვა და იტყვის, რომ კრებსით ზელენსკის არ შეეძლო უკრაინისთვის ამ უბედურების არიდება? შეეძლო, მაგრამ არ შეეძლო, რადგან არ უნდოდა, მაგრამ არც უნდა აერიდებინა, სულ ესაა!

ეს ბაფთიან-კოლგოტკიანი უკრაინის ხელისუფლება რისი მეომარია, სხვები იხოცებიან, სხვების სისხლი იღვრება და ესენი მათ სულებზე სიცოცხლეს იხანგრძლივებენ ვამპირებივით. ერთი ჩვენი ხაზინის ვირთხები იყვნენ მეომრები და მებრძოლი სულები, 2008-ში ერთმანეთს რომ ასწრებდნენ სხვადასხვა სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან მეზობელ ქვეყნებში და მეორე ისინი არიან.

დიდ გათვლას აქვს ადგილი, სწორედ ის უნდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უგანოს უკრაინას და სხვა გეგმა აამუშავონ. ხელისუფლება კი ხვდება, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ხალხი გახდება ცოტა ხანში დასაბმელი. რატომ? იმიტომ, რომ ერთი უკრაინელი არ გამოსულა საქვეყნოდ უკრაინის ხელისუფლების გამოხტომების დასაგმობად! ფაქტობრივად, გველის წიწილებით გვაქვს უბე სავსე და ვდგავართ გაშეშებულები, არ გავინძრეთ, გვიკბენსო...

ვიღაცამ იკითხა, ცოტა ზედმეტად სერიოზულად ხომ არ ვიღებთ ამ ყველაფერს, სინამდვილეში კი ბიჭებს სცენა მოენატრათ, ვინ იცის და თამაშობენ რაღაც შოუს, მაყურებელს სთხოვთ გულ-გვამიო. არა, ბატონებო, არესტოვიჩი გასართობად მსახიობობდა, თორემ პროფესიონალი სამხედრო მზვერავია და უშიშროების მაღალი რანგის ოფიცერი... არესტოვიჩი ტყუილად არაფერს ამბობს, რასაც ეუბნებიან, თქვიო, იმას იქამდე და იმ დოზით ამბობს...

ოკუპანტი რუსეთი უარესია თუ ფაშისტური უკრაინა, ამის გარკვევას სჯობს ერთი შეძახილი: ხახოლურო ნავო, გაუყევი რუსული გემის კვალს!

ზურაბ ოთხერელი

«АРЕСТОВАТЬ АРЕСТОВИЧА!»

მატურად ზრდის ამერიკელებისა და კოლექტიური დასავლეთის მიერ გადმოყრილი მილიარდების რაოდენობას.

სულო ცოდვილო და, რაღაც უცნაურ ბიზნესს ჰგავს ეს ყველაფერი, სადაც რუსული ბომბი და მილიარდები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან — არ იქნება ბომბები? არ იქნება მილიარდები!

ამ სატანური „ბიზნესის“ შედეგად იხოცებიან ათასები და ათიათასები, ინგრევა და ილეწება სოფლები და ქალაქები, არისტოვიჩი კი არხეინად ზის სადღაც ბუნკერში და ეს ამბები სულაც არ ანაღვლებს. ერთადერთი, რაც საქმედ გაუხდია, ქართველების გინებაა.

არისტოვიჩ, რომ გაბრაზდნენ ეს ქართველები და რომ გითხრან: არისტოვიჩი ხარ თუ ვიღაც ყ.ე, კიდევ ერთხელ თუ მოგვაყენებთ შეურაცხყოფას შენ და შენი ძმაკაცები უკრაინის ხელისუფლებიდან, საქართველო საერთოდ გაწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას თქვენთან, უკრაინელ ხალხს ძველებურად დავეხმარებით, რითაც შეგვეძლება, მაგრამ თქვენთან ვერ ვიმეგობრებთ, რადგან თქვენ მეგობრობის დაფასება და სიკეთის დანახვა არ შეგძლებიათო, მაშინ რა ხასიათზე დადგები, პატივცემულო?

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ომის შემდეგ (შეიძლება მანამდეც) უკრაინელმა ხალხმა შეიძლება სულ სხვა კუთხით შეხედოს და სულ სხვა რაკურსით გააანალიზოს უკრაინა-რუსეთის ტრაგიკული ომის სიუჟეტური ქარგა და იქ არისტოვიჩთან დაკავშირებული ისეთი მოულოდნელი შტრიხები აღმოაჩინოს, რომ გაიცეს ბრძანება: «Немедленно арестовать Арестовича!»

ბედის ჩარხმა ისეთი უეცარი შემოტრიალება იცის უცაბედად, რომ, არ არის გამორიცხული, ასეთი ამბავი მართლაც მოხდეს...

ვახტანგ ხარჩილავა
„ს.გ.“ N15. 2022წ.

ადრე ბრიტანელები მართავდნენ ინდოეთს, ახლა კი ინგლისს ინდოელი უხელმძღვანელებს

„...ჯერ კიდევ არ მიმილია კონკრეტული გადაწყვეტილება, მეორე ვადით არჩევნებში მონაწილეობაზე. გავიმარჯვებ თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. ასაკიდან გამომდინარე, ოპონენტები ვარაუდობენ, რომ ბაიდენი კარიერას დააასრულებს, მაგრამ...

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ჯო ბაიდენის შვილზე, ჰანტერ ბაიდენზე თურმე უამრავი მონაცემი შეკრიბა აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ. გავრცელებული ინფორმაციით, ჰანტერზე, შესაძლოა, რამდენიმე მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

უკრაინაში მიმდინარე საომარი ვითარების სათავისოდ გამოყენებას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ცდილობს. მათ შორის, პირველები ამერიკელები და ბრიტანელები არიან. თავად უკრაინელებისთვის ომი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველია. თუმცა, ოთხი რეგიონის დაკარგვის ფაქტს უკრაინის ხელისუფლება რატომღაც გულგრილად შესცქერის. მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, უკრაინელები მზად არიან, რუსეთს კიდევ რამდენიმე რეგიონი დაუთმონ. ახლა მთავარია, ჩვენმა, საქართველოს ხელისუფლებამ რეალურად შეაფასოს უკრაინაში განვითარებული მოვლენები. ფაქტები და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული დაპირისპირება მწვავე ფაზაშია. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გასულ კვირას ახალმიერთებულ ოთხ რეგიონში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლებამოსილება გაუზარდა. რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, უკრაინელები ხერსონის ოლქში სწყალსაცავის აფეთქებას აპირებენ. შედეგი სავალალო იქნება, რადგან წყალი ათასობით ჰექტარ ტერიტორიას წალეკავს, მთლიანად დაიტბორება ქალაქები და დასახლებული პუნქტები. მოკლედ, კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებით უკრაინელები ხელოვნურ წარღვნას მოუწყობენ იქაურ მცხოვრებთ. იმავე რუსეთის დაზვერვის ინფორმაციით, უკრაინა „ბინძური ბომბის“ (იგივე ბირთვული) გამოყენებას აპირებს. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოუგუმ პერსონალურად აცნობა ბრიტანეთის, აშშ-ის და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრებს. ასევე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კოლეგები ჩააყენა საქმის კურსში. მათ დაუჯერებლად მიიჩნიეს რუსეთის განცხადება. მათივე თქმით, უკრაინას მანამდე დაეხმარებიან, ვიდრე საჭირო იქნება. უკრაინელი ვაიმეცნიერების მტკიცებით, კიევის მთავარს, ვლადიმირს თურმე ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში უნდოდა უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება!

ვერაფერს იტყვი, უკრაინელი ისტორიკოსები ახალ-ახალ აბსურდულ ვარაუდებს აჟღერებენ...

ბრძოლები უკრაინაში ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე მიმდინარეობს. უკრაინის არმიამ რამდენჯერმე დაბომბა ბელგოროდის ოლქი, რასაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოყვა. საპასუხოდ, რუსეთი უკრაინის დიდ ქალაქებზე, მათ შორის კიევზეც, შეტევებს განაგრძობს, რომლებსაც თითქმის ყოველდღე ბომბავს. ამ მიზეზით გადადო ვიზიტი უკრაინაში გერმანიის პრეზიდენტმა ვალტერ შტაინმაიერმა. უკრაინის ხელისუფლების მონაცემებით, ქვეყანაში განადგურებულია ელექტროგამომამუშავებელი სადგურების 40%. ამიტომაც მოუწოდებენ მოსახლეობას, ეკონომიურად ხარჯონ ელექტროენერგია, დაწესდა შეზღუდვები.

„...ყირიმის ხიდის აფეთქება ჩვენ არ შეგვიკვეთია“, — განაცხადა გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ. რა იგულისხმა ამაში, ყველასთვის გაუგებარი დარჩა. თავდაპირველად ის ხიდის აფეთქებას უკრაინის სპეცსამსახურების წარმატებულ ოპერაციად მიიჩნევდა, ახლა გამოდის, რომ სხვა ქვეყნებმა განახორციელეს შეტევა სტრატეგიულ ობიექტზე. არსებობს მეორე მოსაზრება — ზელენსკი თავს იმართლებს რუსეთის წინაშე, ხიდის აფეთქებაში ჩვენ არაფერ შუაში ვართო. ამით ცდილობს, პასუხისმგებლობა აირიდოს და თავი გადაირჩინოს. თუმცა რუსეთში (და არა მარტო იქ) ზელენსკისა უკვე აღარავის სჯერა.

გაზრდილი მადითა და პრეტენზიებით უკრაინელები უკვე აღიზიანებენ მოკავშირე ქვეყნებს. ამერიკელი პოლიტოლოგის დიმიტრი საიმსის განცხადებით: „...უკრაინას, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, უფლება აქვს, იმოქმედოს, როგორც საჭიროდ ჩათვლის, მაგრამ მიუღებელია, რომ აშშ-ს და დასავლეთის სხვა ქვეყნებს უკარნახოს, როგორ და რითი უნდა დაეხმარონ“. აშშ-ის კონგრესის უმცირესობის ლიდერის, რესპუბლიკელი კევინ მაკარტის თქმით, შუალედურ არჩევნებში გამარჯვებისა და უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უკრაინელებს საგრძნობლად შეუმცირებენ ყოველგვარ დახმარებას. მისმა განცხადებამ უკრაინის ხელისუფლებაში შოკი გამოიწვია.

პოლიტოლოგები აშშ-ში მომავალი შუალედური არჩევნების პროგნოზებისგან თავს იკავებენ, თუმცა, ექსპერტების შეფასებით, აშშ სტრატეგიულად ჩიხში მოექცა. მხედველობაში აქვთ ჯო ბაიდენის არათანმიმდევრული პოლიტიკა ცალკეულ ქვეყნებთან. განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთთან და ჩინეთთან გამწვავებული ურთიერთობა. ასევე, არაბული ქვეყნების ცივი დამოკიდებულება აშშ-სთან. პოლიტიკურ ვითარებას აშშ-ში რთული ეკონომიკური მდგომარეობაც ემატება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკელებს სენატსა და კონგრესში უმრავლესობის მოპოვების დიდი შანსი აქვთ.

სულ უფრო რეალური ხდება მესამე, ფართომასშტაბიანი მსოფლიო ომის დაწყება. ჯო ბაიდენის განცხადებით: „...ჩვენ ვერ დავუშვებთ რუსეთის უკრაინაში გამარჯვებას, რადგან საქმე ეხება ევროპის უსაფრთხოებას. უკრაინის დამარცხება ნატოსა და დასავლეთ ევროპაზე რუსეთის გამარჯვება იქნება“. ამერიკული პრესის ინფორმაციით, რუმინეთში აშშ-ის საგანგებო დანიშნულების დივიზია (5 ათასი ჯარისკაცი) ჩაიყვანეს, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს შევიდეს უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მსგავსი გეგმის განხორციელება მესამე მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდება. ამის გარდა, ევროპაში დაიწყო ნატოს წევრი ქვეყნების ჯარების წვრთნები. ალიანსის გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის თქმით, წვრთნებს რუსეთზე ზეწოლის მიზნით ატარებენ. საინტერესოა, რომ მისი წინამორბედის, ანდერს ფონ რასმუსენის წინააღმდეგ ფინანსური მაქინაციების გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სამშვიდობო მოლაპარაკებებზე უკვე აღარ საუბრობენ. აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ განაცხადეს უარი რუსეთთან დიალოგზე. რას მოუტანს სამყაროს მსოფლიოს დიდი ქვეყნების უბრად ყოფნა და დაპირისპირება, ძნელია პროგნოზირება.

საყურადღებო განცხადება გააკეთა გასულ კვირას ისრაელელმა პოლიტოლოგმა და სამხედრო ექსპერტმა იაკობ კედმიმ: „...რუსეთი მზად არის და აქვს შესაძლებლობა, რომ ძალისმიერი მეთოდებით გააძევოს აშშ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან. ეს ნატოს და აშშ-ის სრული კრახი იქნება... დღეს ევროპის დეგრადაციია ძლიერდება. არცერთ ქვეყანას არ შეუძლია, იყოს რეალურად სუვერენული. აშშ გეგმაზომიერად ბოლო ძალებს სწოვს ევროპას. ამას ვერცერთი პოლიტიკოსი ვერ ეწინააღმდეგება, რადგან უძლურები და არაკომპეტენტურები არიან. მსოფლიოში და ევროპაშიც რეალური პოლიტიკოსების დეფიციტია. სამწუხაროდ, ევროპის სულიერი დაცემა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, რადგან წაბილწეს მშობლის, პატრიოტიზმის, თავმოყვარეობის ინსტიტუტები“.

თანამდებობაზე ყოფნის ანტირეკორდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ელიზაბეტ ტრასმა დაამყარა. მან მხოლოდ 44(!) დღე იპრემიერა. თუმცა, თანამდებობის დატოვებას არ აპირებდა. „მე მებრძოლი ვარ და არა მხდალი“, — განაცხადა ტრასმა პარლამენტში. თანაპარტიელების დაჟინებული მოთხოვნით მას მაინც მოუხდა გადაგომა. ლიზ ტრასი უკვე გახდა ისტორიული პიროვნება — ჯერ როგორც ბოლო პრემიერი, რომელიც ელიზაბეტ II-მ დანიშნა, შემდეგ კი იმით, რომ მისი პრემიერობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. თანამდებობის დაკავება კვლავ სურდა გაძევებულ ბორის ჯონსონს, მაგრამ თავადვე მოხსნა კანდიდატურა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ინდური წარმოშობის რიში სუნაკი აირჩია, რომელიც ბორის ჯონსონის პრემიერობის დროს ფინანსათა მინისტრის პოსტს იკავებდა. დრო და ჟამი შეიცვალა — ადრე ბრიტანელები მართავდნენ ინდოეთს, ახლა კი ინდოელი უხელმძღვანელებს.

ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩინეთში კომუნისტური პარტიის მე-20 საუბილეო ყრილობა. პარტიის გენერალურ მდივნად მესამედ აირჩიე სი ძინპინი, რომელმაც ქვეყნის მმართველის თანამდებობაც შეინარჩუნა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში მაო ძედუნის შემდეგ უმაღლესი პოსტი მხოლოდ ორ-ორჯერ ეკავათ ხოლმე. პოლიტოლოგების შეფასებით, სი ძინპინის მესამედ არჩევით მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

გია ბურდული
551 71 27 07

„გირჩი ძია“ ომბუდსმენად!

ქურდებს სიცოცხლე, ბო...ებს სიკვდილი!

იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რომ „გირჩის“ მიერ ოფიციალურად არის წარდგენილი სახალხო დამცველის კანდიდატად და სანამ ომბუდსმენად არჩევისთვის მხარდაჭრას სთხოვს კოლეგებს, სურს, მთელ რიგ საკითხებზე საკუთარი ხედვა გააცნოს ყველას.

პირველი საკითხი, რაზეც იაგო ხვიჩიამ საუბარი წამოიწყო, ეს იყო „კანონი ქურდული სამყაროს შესახებ“, რომელიც ადამიანებს სჯის არა მათი ქმედებების, არამედ მათი რწმენის გამო და ლამის დედა დაიფიცა, რომ სახალხო დამცველად არჩევის შემთხვევაში, ე.წ. კანონიერი ქურდების უფლებების დასაცავად იბრძოლებს და ამისთვის კანონპროექტის ინიცირებაც დააანონსა.

ხალხი გამხიარულდა, თან დაინტერესდა, რა მოწია ასეთი ხვიჩიამ?

ხვიჩია და მისი წრე რას ეწევა, ეშმაკმა უწყის, ჩვენ „პლანის“ ქოთნებში დარგვა გვაქვს ნანახი მხოლოდ, როგორ აფუილებენ „მოსავალს“, აღარ უჩვენებიათ, მაგრამ დიდი ეშმაკის ფეხები რომ ბრძანდებიან, აშკარაა, ისეთს წამოიწყებენ დროდადრო, ათიანში არტყამენ და რეალურად იბირებენ ამომრჩევლის მათთვის საკმარის ნაწილს. „ქეშების“ თუ პოტენციური „ქეშების“ ხმები ხომ მიიღეს, ზედ პოტენციური დეზერტირები დაიმატეს, სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ „გირჩის მამაოებად“ რომ ჩაეწერნენ, ახლა „მოძველბიჭო ელემენტებს“ მიადგნენ და კიდევ მიიკრობენ რაღაც ნაწილს. საინტერესოა, თუ კომისარიატში წარსადგენად საჭირო საბუთს გასცემენ, ქურდულ ამბავში როგორ იქნება, „ნაკოლკები“ უნდა დაიხატონ, ვთქვათ, ფეხებზე „ანი უსტალი“ და თვალებზე „ნე ბუდი“ თუ „სსჟვ“ („სმერტ სუკამ, ჟიზნ ვარამ“) იქნება საკმარისი?

ხალხი გაერთო, ჯიგარია ხვიჩია, ისევ მეგრელს თუ მოუვიდოდა აზრად, ეს საკითხი წამოეწიაო; მართალია ხვიჩია, გადამყიდველებისა და მევახშეების უფლებები თუ არის დაცული, ქურდებისა რატომ არ უნდა იყოსო? ჰოდა, იმიტომაც არიან გაგულავებულები ის უთოფო ყაჩაღებიო; მიშამ რომ დაიძახოს „ქურდი ვარ“, მერე რას ვშვებითო? ხვიჩიას მხრები და მუხლები უნახეთ, მაგას ქურდული ვარსკვლავებიც ექნება „ნაკოლკებადო“...

იაგო ხვიჩია: „ეს კანონპროექტი, შეიძლება, ერთი შეხედვით ძალიან ეპატაჟურია, ბევრი ადამიანის მხარდაჭერით შეიძლება სარგებლობდეს არსებული ნორმები, მაგრამ 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში, როცა ეს კანონი იხილებოდა, უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ახალი დამთავრებული მქონდა და ვუყურებდი ამ კანონის განხილვის პროცესს, მათ შორის პარლამენტში. საქმე ეხება „ქურდული სამყაროს შესახებ“ კანონს. ამ კანონით ჩვენ, ფაქტობრივად, ადამიანის რწმენის თავისუფლება შევზღუდეთ. ჩვენ ვთქვით, რომ ადამიანები უნდა ისჯებოდნენ იმის მიუხედავად, შევძლებთ თუ არა კონკრეტული ქმედების დამტკიცებას; იმის მიუხედავად, შევძლებთ თუ არა დამტკიცებას, რომ ადამიანს ორგანიზებული ბანდა ჰქონდა შექმნილი, ან იყო თუ არა ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე; იმის გამო, რომ ის რაღაც რწმენას აღიარებს, რაღაცის სჯერა, ქართული კანონმდებლობით გამოვაცხადეთ კრიმინალებად. ეს იყო ნულოვანი ტოლერანტობის ფარგლებში. ფაქტობრივად, ამ კანონის მიღებით ჩვენ შემოვიღეთ სასჯელის უსამართლობა, რომელიც ფურცელზე წერია“ და დაამატა, რომ პატივს არ სცემს იმ ადამიანს, ვინც წლების წინ ქურდული სამყაროს შესახებ კანონის მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

იდეაში, მთლად მოწეულშიც არ უნდა იყოს იაგო ხვიჩია, რადგან მართალია, რასაც ამბობს. ფაქტობრივად, კანონი ედავება შეხედულებაზე... ვამბობთ, რომ ოჯახის ყველა წევრი რაღაცაშია გახვეული... ჩვენ დროზე უნდა შევცვალოთ ასეთი დამოკიდებულება. ადამიანი უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო და არა იმ რწმენის გამო, რომელიც სჯერა. არ შეიძლება ადამიანის დასჯა ლაპარაკის გამო. მე, როგორც სახალხო დამცველობის კანდიდატი, ჩემი არჩევის შემთხვევაში, მინდა იცოდეთ, რომ ვიბრძოლებ ამ ადამიანების უფლებებისთვის, თუმცა არა იმიტომ, რომ ვინმე მათგანს ვიცნობ. მინდა საჯაროდ დავაფიქსირო, რომ არც ერთ „კანონიერ ქურდს“ არ ვიცნობ პირადად. არავის ცნობა არ მჭირდება იმისთვის, რომ დავინახო უსამართლობა, რომელიც ფურცელზე წერია“ და დაამატა, რომ პატივს არ სცემს იმ ადამიანს, ვინც წლების წინ ქურდული სამყაროს შესახებ კანონის მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

„თუ რაიმე ნეოლიბერალური საშინელებაა, ამ ერთ, ყოვლად ამაზრზენ არსებაშია კონცენტრირებული, რომელიც ლომჯარიაზე უფრო მოქოქილი და ფანატია კიდევ!

ხალხს არ გვარჩევინებენ ჩვენს დამცველს! ამაზე მეტი დაცინვა და აბუჩად აგდება იშვიათია საკანონმდებლო დონეზე. ეს არამზადები რას ფიქრობენ, რადგან აგვირჩიეთ, ყველაფერს მივიწერთ პირველი ღამის უფლებასავითო?

ბოროტმოქმედს აქვს უფლება, რომ უშუალო ჩარევა-მითითების გარეშე აირჩიოს დამცველი და საქართველოს მოსახლეობას — არა! ჩვენ ბოროტმოქმედებზე მეტი ვართ და კანონგარეშედ გამოგვაცხადეს!

მერამდენედ გვახვევენ თავს საძულველი ტოპრიგიდან კანდიდატებს?

გადახედეთ ნებისმირი მოწვევის პარლამენტის შემადგენლობას და რა გასაკვირია, ეს წოდება, რომელიც ინტელექტთან, სიბრძნესთან და პატივისცემასთან უნდა ასოცირდებოდეს, მოლოდინაშვილ-დუმბაძე-რცხილაძესთან და დღეს ხაბეიშვილ-მაჭუტაძე-ბოლქვაძე-ელისაშვილთან ასოციირდება, ანუ — არაფერთან!

ვინც ლომჯარია აირჩიეთ და ვინც აბაშიძეს აირჩევთ, ერთი არ აგცდეთ, რასაც და როგორც მოგკითხავთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა!

ლომჯარიას შემდეგ თუ კიდევ უარესის არჩევას გაბედავდნენ, კიდევ არ მეგონა... ახლახანს გადავაწყდი, კობახიძე ამბობდა, მართალია, არაკონსტიტუციურია, მაგრამ ევროპიდან გვთხოვენ და გთხოვთ, ხმა მიეცით, რომ გენერალური პროკურორიც „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ დაგვინიშნონო... ახია ჩვენზე!

ჩვენ არ გვინდა გავიგოთ ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკური ე.წ. ელიტის დაყოფა პარტიებად, ბლეფია. ამიტომ, აბაშიძეს აირჩევენ თუ მეგისას, მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკა საქართველოში არ კეთდება, ეს არის იმიტაცია იდიოტებისთვის...

ამ ლოიალურობამ დაღუპა საქართველო. როცა უნდათ, მშვენივრად ეწინააღმდეგებიან „დასავლეთს“. აგირჩიათ ქართველმა ხალხმა და უნდა ემსახუროთ ხალხის ნებას! საქართველოის გასაღები საქართველოშია, ინებეთ და აღასრულეთ ხალხის ნება, ის, რასაც დაჰპირდით ამომრჩეველს!

შეშინებული ყურცქვიტებივით ელოდებიან, რა მითითებას მისცემს კელი ბიცოლა მახინჯი ომბუდსმენის მითითებით...

ვერ დავიჩემებ, მაგრამ ასე მგონია, „ოცნებას“ უკვე მოსთხოვეს ხელისუფლების გადაბარება ხლისტებზე და ჯერჯერობით სხვადასხვა სამსახურებში მეორე კაცებად შემოგვიცურეს, მაგრამ პროცესი გრძელდება...

„თავისუფალ ხედვაში“ გვიმრაძემ პაპუაშვილს ვერაფრით ათქმევინა, მოგებული უმრავლესობა რატომ თმობს და უყოფს პოზიციებს ნაცებს. მე, პირადად, ისეთი შეგრძნება დამრჩა, რომ ნელ-ნელა მიდის ხელისუფლების გადაბარება..

აი, რატომ ხართ საზიზღრები, დეპუტატებო! სახალხო დამცველად ასარჩევთა სიაში ანა აბაშიძე რომ ლიდერობს და როგორც ჩანს, შემდეგი 6 წელი ამ კუთხით კიდევ უარესი გველოდება!.“

აი, ასე ფიქრობს ხალხი ომბუდსმენის ინსტიტუტზე და სამართლიანადაც!...

ზოგადად კი, ასეთი მიდგომით მხოლოდ ის იკვეთება, რომ ხელისუფლება აღიარებს და ანგარიშგასაწევ სერიოზულ ძალად მიიჩნევს „ქურდულ შეხედულებებს“, აბა, რატომ უნდა გაშინებდეს ამ დონეზე ვიღაცების აზრები და შეხედულებები?

კარგად მახსოვს, ასლან უსოიანი (75 წლის „დედ ჰასანი“) რომ გარდაიცვალა, ცხედარი არ შემოუშვეს საქართველოში, რომ მშობლების გვერდზე დაეკრძალათ, მაგრამ ყველა გამოშვებაში აშუქებდა ტელევიზია — ეს შეიძლებოდა?! ია ანთაძე ახალი ფორმა, რომელიც ისე არ გვაქვს და აკრძალულია ქვეყნის კონსტიტუციით, ეს არის მოქალაქეობის ჩამორთმევა... თუ თავს არ მოვიტყუებთ, ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ე.წ. ქურდებთან ბრძოლა 2 ათწლეულის განმავლობაში, სინამდვილეში, ახალი სანქციის გამოკვეთას ისახავს მიზნად, ეს არის მოქალაქეობის ჩამორთმევა, ქვეყნიდან გაძევება, გადასახლება სხვა ქვეყანაში. ჩვენ არ ვაძლევთ მოსვენებას ამ ადამიანების ოჯახის წევრებს, არ ვაძლევთ დაბადების მოწმობებს ამ ადამიანების შვილებს, ვავიწროვებთ ოჯახს და ღო ადმინისტრაციისგან) და თამარ ჩერგოლეიშვილი ტანსაცმლიდან ამოხტა, ძლივს რაღაც ნორმალური გადაწყვეტილება მიიღო ახალმა ხელისუფლებამ და ეს ქალბატონი რა ტრადიციებზე ლაპარაკობს, თბილისი „დედ ჰასანზე“ მოტირალი კანონიერი ქურდების სკად უნდა გადაქცეულიყოო?

ხალხი, მეტწილად ქალები აპროტესტებდნენ ამ კანონს და უსოიანის დაკრძალვაზეც ქალები აქტიურობდნენ, რა იყო, მიცვალებულისაც ეშინიათო? გაგიკვირდებათ და, ახლაც ქალები აღმოჩდნენ იაგო ხვიჩიას განცხადების მხარდამჭერები. საინტერესოა, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ქალი უფრო რომანტიკოსია ბუნებით და ამდენი ნახევარქათამა კაცის შემხედვარეს ძლიერი კაცების მომრავლების ქვეცნობიერი სურვილი აქვს? ელემენტარულია, როდესაც კატებს სპობენ, ვირთხები მრავლდებიან, კატის შემშინებელი ძაღლი ვერაფერს აკლებს ვირთხას, მას თავისი გამანეიტრალებელი სჭირდება... თუ კარგად გავიაზრებთ, მართლა ასეთი სურათი გვაქვს: ძლიერი კაცების სამი თაობა ერთი მეორეს მიყოლებით გააქრეს და ისე დარჩათ მოედანიცა და ბურთიც ქათმებს, ლამის ყველა „გაგვაფერადონ“...

მოკლედ რომ ვთქვათ, იაგო ხვიჩია ამბობს იმას, რაც რეალურად მართლა ასეა, ადამიანის ცხეში ჩასასმელად მისთვის კონკრეტული დანაშაულის ჩადენა არ არის საჭირო.

მოქმედ სახალხო დამცველს უფლებამოსილების ვადა 2022 წლის 8 დეკემბერს ეწურება და ვინ გადაიბარებს (ვის დაგვინიშნავენ ნერვების დასაგლეჯად ოკეანის გაღმიდან), ვნახავთ, მაგრამ არ ახმიანებს ხვიჩია მთლად წყალსგასაყოლებელ დაპირებებს. მაგალითად, მე თუ ამირჩევთ, მხოლოდ სასამართლო და საპატიმრო დაწესებულებებზე ვიქნები ორიენტირებული, მორჩება ადამიანების დაყოფა იმის მიხედვით, ქალები არიან თუ ბავშვები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები თუ რანი, ყველა ეს პროექტი დაიხურება და იქნება მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვა, იმიტომ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ჩვენ ვუყურებთ, როგორც ადამიანებსო.

სანამ ომბუდსმენის დანიშვნის დრო დადგება, ხალხი უკვე აპროტესტებს თვით პროცედურას, რომ სახალხო დამცველს არ ირჩევს ხალხი და არც საქართველოს პარლამენტი ირჩევს, ფაქტობრივად, ინიშნება სხვა ქვეყნის (ან ქვეყნების) მითითებით...

ომბუდსმენობის მაძიებელთა ლიდერობის სია საიდან გაჩნდა, ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცი, მაგრამ ზოგადად და დაწინაურებული კანდიდატის შეფასება ისეთია, ხელისუფლებამ რომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

მაკა ჯაყელი

ვინ იყო კაცი, რომელსაც პასპორტში მაიმუნის სურათი ჰქონდა ჩაკრული

ცხონებულ ნიკო ჩაჩუასთან საუბარი დაახლოებით 10 წლის წინათ ჩავიწერე ქობულეთში, მაგრამ მის მიერ პირდაპირ გამოთქმული ნააზრევის გამო დღემდე დღის სინათლე ვერ იხილა...

— ბატონო ნიკო, წითელ, ე.წ. საბჭოთა პასპორტში მაიმუნის სურათი რატომ გქონდათ ჩაკრული, ან ერთი „დანოსის“ დამწერი როგორ არ გადაგეყარათ, რომ დაესმინეთ „იქ“?

— პროტესტის ნიშნად ჩავაკარი. ვთვლიდი, რომ კომუნისტებს ვამაიმუნებდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაღაც ვერ გავთვალე. არავინ ბრაზდებოდა, იცინოდნენ. გგონიათ, ყველა ამჩნევდა, რომ მაიმუნის ფოტო იყო? ახლა გარდაცვლილია, ამიტომ თავს ვიკავებ, მის ვინაობას არ დავასახელებ, არ მინდა, ჩრდილი მივაყენო — ჩვენი, ქობულეთის პარტიული მდივანი იყო. მოხდა ისე, რომ ჩემს პასპორტთან მოუწია შეხება და აღშფოთებულმა აწეული ტონით მკაცრად მკითხა, რა უნდა შენს პასპორტში პელეს სურათსო — პელეს და მაიმუნს ვერ არჩევდა. თქვენ გეცინებათ, მაგრამ მე არც კი გამკვირვებია, რადგან ახლა თუ სხვაგვარად უცოდინრები არიან თანამდებობებზე, მაშინ ამგვარად ხვდებოდნენ — აქტიური კომკავშირლები ბაქოში დაამთავრებდნენ პარტიული სკოლის ოთხთვიან კურსებს და პარტიული ხაზით მიდიოდნენ თანამდებობებზე. ფინანსური შეძლება და სულით კომუნისტობა სულაც არ იყო საჭირო. პარტბილეთი 3000 მანეთი ღირდა. ვისაც შეეძლო, ყიდულობდა და თანამდებობის კაცი ხდებოდა. თუ ცოტა წაიშტერებდა, ბოლო-ბოლო, რძის ობიექტის, ან საწყობის გასაღებს მაინც დაიჭერდა ხელში და იყო დაფასებული კაცი. აბა, ასეთი პარტმუშაკები, პასპორტში მაიმუნის ფოტო რომც ენახათ, დამსმენები იყვნენ? — რა ვიცი, არ შემხვდა ბოროტი ადამიანი, რომ გავეწირე...

ჩემი ბებია და ბაბუა ირანში ცხოვრობდნენ, ჩემი დედ-მამაც და მეც იქ დავიბადე. დავაზუსტებ, ისტორიულ ბედუკუღმართობას არ წაუყვანია ჩემი წინაპარი ირანში, რევოლუციამდე იყვნენ წასულები. ბაქო-ჯულფის სარკინიგზო ხიდი რომ გაჰყავდათ, „პოდრიადჩიკად“ ბაბუაჩემი იყო დანიშნული. ირანი თურქეთზე შეძლებული ქვეყანა იყო, მაგრამ ჯარი თურქეთს ჰყავდა ძლიერი. იცით, რომ თურქეთის მოქალაქეების 90% თურქები კი არა, გერმანელი და ქართველები არიან? ირანში შვიდი ოჯახი იყო ქართული და „საქართველოს პარიკმახერმა“, სტალინმა, ყველა ჩამოიყვანა, შემდეგ კი, ზოგი გადაასახლა, ზოგი — დახვრიტა. არც ერთი აღარ დარჩა ცოცხალი, მათ შორის ჯემშიტიც, რომელიც 1930 წელს გარდაიცვალა, ელჩი იყო არაბეთსა და თეირანში... ჩვენ 1947 წელს ჩამოვედით და მალე-ვე გადაგვასახლა. მოკლედ რომ ვთქვათ, არ დაინდო არავინ, ვინც რევოლუციამდე იყო წასული. 1921 წელს, ნოე ჟორდანია რომ წავიდა აქედან, „კალბასებივით“ ეკიდნენ ინგლისის, ამერიკის, კანადისა და ფრანგების გემებზე 13-14 წლის ბავშვები, ყველა ჩამოაყვანინა და დახვრიტეს...

— რატომ გასახლებთო, თქვენ რა ბრალი წაგიყენეს?

— მიზეზი თეირანში ჩემი დაბადება იყო. შუა აზიაში გადაგვასახლეს, ყიზილყუმის რაიონში, რვა წელი დავყავით იქ. ტაშკენტის „ფახთაქორში“ ვთამაშობდი, „ბ“ კლასში და 1956 წელს გავთავისულდით, ხრუშჩოვის დროს. მე სოხუმში მინდოდა წასვლა, მაგრამ მამამ არ გამიშვა, აჭარაში დასახლება ამჯობინა. მე მაშინ ვერ ვხვდებოდი, მერეღა მივხვდი განსხვავებას, რითი ჯობდა აჭარა აფხაზეთს — აქ შეუდარებელი ხალხია, თბილი, ბოლო-ბოლო ქართულად ლაპარაკობდნენ. აფხაზეთშიც ყველამ იცოდა ქართული, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ, თითქოს რატომღაც რცხვენოდათ და რუსულზე იყვნენ გადასულები. აგერ, დღესაც, აფხაზეთიდან ლტოლვილები რომ გვყავს აჭარაში, უჭირთ ქართული მეტყველება, თუმცა მშვენივრად ესმით.

მე ბევრი გაჭირვება და უბედურება მაქვს გადატანილი, მაგრამ სიმართლეს გზა არ უნდა დაუკარგო კაცმა, ამიტომ ყოველთვის ვიტყვი, რომ დღესდღეისობით რუსეთთან არანაირად არ ვართ მართლები, არც ღმერთით, არც კომუნისტურად და, თუ გნებავთ, არც ქურდულად. 200 წელი ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო თოფის ხმა... რუსეთი რომ არ ყოფილიყო, საქართველო აღარ იქნებოდა, ნახევარს თურქეთი წაიღებდა, მეორე ნახევარს — ირანი. ერთადერთი, ქუთაისის ოლქი იყო, იმერეთი, რომელიც არავის არაფრად უნდოდა, თორემ ალყაშემორტყმულები ვიყავით, თუმცა, გაყოფისას იმერეთსაც რომელიმე გააყოლებდა ხელს... ახლა ვიღაცის ფუჭი იმედი მოგეცა და უმადურს რუსეთი აღარ გინდა? კი, მათაც შეცდომა დაუშვეს, რა ოსი, რომელ ოსეთზე მელაპარაკები, კოკოითი და ჰალსტუხი? — მაგრამ შენი გამოწვეული რომ არის ის მათი შეცდომაც? მახსოვს, თბილისში, „ტიშინაზე“ ოსი სამხედროები რომ იყვნენ, სამხედრო ბილეთი „ბულავკით“ ჰქონდათ მიმაგრებული გულზე, მათი გონება ვერ წვდებოდა იმას, რომ შინელს გულისჯიბე ჰქონდა და იქ უნდა ჩაედოთ... არ არის მართალი ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთი, მაგრამ დაიმახსოვრეთ: მოვა დრო და ყველაფერი დალაგდება, საქართველო არ დაკარგავს ამ ტერიტორიებს, თუ კიდევ ერთმა ქართველმა გამიზნულად არ მისცა ვინმეს...


22 октября 1973 года
ЧИСЛО, МЕСЯЦ, ГОД РОЖДЕНИЯ
гор. Западная Двина
МЕСТО РОЖДЕНИЯ
Калининской обл.
русский
НАЦИОНАЛЬНОСТЬ
Отделом внутренних дел
КЕМ ВЫДАН ПАСПОРТ
Гусевского горисполкома
Калининградской обл.
Начальник органа внутренних дел
20 декабря 1989 года
Карпиев

— სომხეთის აჭარით დაინტერესებაზე რას იტყვით, სერიოზული შეშფოთების მიზეზს თუ ხედავთ?

— მე იმას ვხედავ, რომ აჭარის ყიდვა უნდათ, მაგრამ ჯერჯერობით პირდაპირ ვერ ყიდულობენ, საქართველოს კონსტიტუცია არ აძლევს ამის საშუალებას, მაგრამ ყიდულობენ „ნიკოს“ ან „რეზოს“ სახელით. ალბათ, აქვთ რაღაცის იმედი ვიღაცისგან, მერე ნელ-ნელა კონსტიტუციაშიც შეაპარებენ და აჭარას კი არა, მთელ საქართველოს გაყიდიან... დამნაშავეს მყიდველში ნუ ეძებთ, საქართველოს გამყიდველი ქართველები დაინახეთ!..

ამბობენ, ბათუმი გალამაზდაო — ფოთლები რომ დაცვივდება, მერე შეხედეთ სახლებს, დაბომბილი გეგონებათ... ფასადურ სილამაზეს ნუ უყურებთ, ფერადი განათებით გალამაზებული და გადაღებილი შენობების კედლები დაბზარულია... იმ შავბნელ დროში ხომ იყო შეცდომები, მაგრამ ახლა უარესია და თუ ასე გაგრძელდა, ერი არ დაიწმინდა და ჭკუაზე არ მოვიდა, დასასრულიც გამოჩნდება...

— საშველს თუ ხედავთ?

— დიდი რყევის შემდეგ ხალხს დიდი ხანი სჭირდება გონზე მოსასვლელად, მაგრამ ხომ უნდა მოვიდეს გონზე? ასე იყო ნიკოლოზის ჩამოგდების შემდეგ, ასე იქნება ახლაც, მაგრამ ახლა ისეა აჩქარებული მსოფლიო, გონზე მოსასვლელად კიდევ 50 წელი თუ დაგჭირდა, ცუდად იქნება საქმე. ჯერ ისევ რყევაში ვართ, რადგან ადამიანს შინაგანად ყოველთვის თავისუფლება უნდა და ნახეთ, თუ სოციალიზმი არ დაბრუნდეს...

— რას ამბობთ, პირიქით, ახლა მივდივართ თავისუფლებისკენ...

— კი, ყოველმხრივი თავისუფლებისკენ... ქობულეთში ამჟამად 13 ეკლესიაა — ეს ცოტა არ არის, პურის მაღაზიაა ამდენი, მაგრამ აბა, მეჩეთი დაითვალეთ, ყველა სოფელშია, მგონი...

ახლა საზომები შეიცვალა, მაგრამ რაგინდ გადაიყვან-გადმოიყვანო სხვა ფულზე, რაც კარგი ფაქტი იყო, ვერსად გაექცევი — მოსამსახურის ხელფასი 60-120 მანეთი იყო, მაგრამ ერთი კილოგრამი კარტოფილი 8 კაპიკი ღირდა, სტაფილო — 7 კაპიკი, ერთი კილო პური 30 კაპიკი, ერთი კილო ხორცი — 2 მანეთი და ყველაფერი იყო ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა, ახლა მოწამლულია და ძვირი. მხოლოდ ამ ქუჩაზე 17 დასასვენებელი სახლი იყო, 13 ჩაის ფაბრიკა, სამ ცვლაში მუშაობდნენ, ახლა არაფერი აღარ არის. რა ქნას ადამიანმა, რითი ირჩინოს თავი და მიდის... ის მიდის და მოდის სხვა, ფულიანი, ყიდულობს, სახლდება და ქრება ქართველი საქართველოში. კი, ტერიტორია ვერსად წავა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სახელიც, შეიძლება, საქართველო დარჩეს, მაგრამ ამ მიწაზე ქართველის გარდა ყველა იქნება: ჩინელი, სომეხი, თურქი, არაბი... აი, თავისუფლება!..

თბილისში ერთი ქურთი კაცი იყო, მაჩტი ერქვა, დოლზე და დუდუკზე მღეროდა, დიდი ლოყები ჰქონდა. რომ შევიდოდა მგლოვიარე ოჯახში, ჭირისუფალი ეტყოდა: მაჩტი, ისეთი თქვი, დავიწვათო. დაიწყებდა მაჩტი: „ზამთრის ყინვა არ მაშინებს, შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა“ და ატყდებოდა ტირილი. მერე, დიდი ქელეხები რომ აკრძალეს, თუ მაინც გაბედავდი, მოვიდოდნენ და გამზადებულ ლობიოში „სალიარკას“ ჩაგისხამდნენ. აბა, რამე გეთქვა, ციმბირი უკან მოგრჩებოდა.. ახლა არავინ ჩაგისხმას ლობიოში „სალიარკას“, თავისუფალი ხარ, მაგრამ აბა, საკუთარ თავს ჰკითხე, თუ ხარ თავისუფალი და, საერთოდ, თუ გრძნობ, რომ კი არ არსებობ, არამედ ხარ, ვინმე რამედ გაგდებს...

შემოდგომის დასაწყისში, ახლა რომ „პენსიონერების სეზონს“ უწოდებენ ახალგაზრდები, პენსიონერები კი ვითომ ნიშანს უგებენ და პასუხობენ, თქვენ რა იცით, რა არის „ბარხატნი სეზონიო“, მეცინება. არც ერთმა არ იცის, რას ლაპარაკობს — როდის იყო, პენსიონერები ზღვაზე დროის სატარებლად ჩამოდიოდნენ? რევოლუციამდელ საქართველოში ზღვაზე მართლაც დასასვენებლად ჩამოდიოდნენ „დელეცები“, ფულის მკეთებელი მილიონერი რუსი, თურქი და თათარი საქმოსნები — სომხები ნაკლებად იყვნენ. მაშინ მოდაში იყო ხავერდის, ანუ ბარხატის ნაჭრის ქისები. სამი ფერის ქისა ჰქონდათ ოქროებით გატენილი, ყვითელი, წითელი და შინდისფერი. საითაც გაიხედავდი, ქისები ტრიალებდა და ამიტომ დაერქვა „ბარხატნი სეზონი“ — პენსიონერების კი არა, მილიონერების სეზონი იყო...

ახლა ისეთი „თავისუფლებაა“, აღარც დასასვენებელი სახლებია, აღარც მილიონერები, ე.წ. საზღვაო სეზონიც მაქსიმუმ ორი თვე გრძელდება და ისიც საზოგადოების მხოლოდ იმ ფენისთვის, რომელსაც წლის განმავლობაში ორი გროში მაინც აქვს გადანახული დასასვენებლად და სხვაგან წასვლის ვერ წვდება მისი ჯიბე... ამ მიწის და ამ ზღვის გაყიდვა იქნება?

მაკა ჯაყელი

P.S მთელი ჩვენი საუბრის მანძილზე ორი არაქართველი მამაკაცი იჯდა ჩვენს მახლობლად. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ახალგაზრდა ახალქალაქელი სომეხი და მისი ასაკოვანი ლენინაკანელი ნათესავი. აქაურმა მითარგმნა, ჩემი ნათესავი ამბობსო: „საქართველოს მიწა თქვენს წინაპრებს უყვარდათო. სომხებს დაგვცინით ფულის სიყვარულზე, მაგრამ თქვენ, „ახალ ქართველებს“ ფული უფრო გიყვართო. ჩვენ, სომხებს შრომა არ გვეთაკილება და ფულიც გარანტირებულად კარგად ყოფნისთვის გვინდა, თქვენ — შრომა არ გინდათ, სოფლებს ტოვებთ და ქალაქებში გარბიხართ, მამაპაპისეულ მიწას კი ჰყიდითო; ფულიც ერთ დღეში დასახარჯად გინდათ და მერე გიკვირთ, რომ აღარც ფული გაქვთ, აღარც — მიწაო...“

ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის, ყველა იმ ქართველის ნაცვლად, მეგონა, გავწითლდი, თურმე გავფითრებულვარ...

ჩუმად დაიმკვიდრა მარადისობა, რომელსაც ბეჭდად მისივე თვითნაბადი ნიჭიერება აზის...



დიდებული და ამაღლებული იყო ჩვენი თაობის კიდევ ერთი გამორჩეული ქართველი პოეტის შემოსვლა 70-იანი წლების ლიტერატურული საქართველოს ცხოვრებაში. მაშინ მგოსანმა ყველას დაგვამახსოვრა თავი მის თანამედროვეთა ყოველდღიურობის აბსურდულობის პოეტური ხედვით, როცა იხატებოდა სულიერებისგან დაცლილი და მაინც სევდა-ტკივილიანი სურათი:

დღეს ვიღაც ქალი კაფეში იჯდა,
მელოტი კაცი მოესვა გვერდით,
და თვალებს, როგორც გაბზარულ ფინჯანს,
გამოჰპარვოდა ბრჭყვიალა ცრემლი...

ეს შემოდგომაც ტკივილით მოზღვავდა ჩვენში, კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი განეშორა წუთისოფელს. უცამაღლესი პოეტი, პუბლიცისტი და ლიტერატორი, დახვეწილი რედაქტორი და სიტყვაკაზმული მესიტყვე ვახტანგ ხარჩილავა გარდაიცვალა. სამშობლოს ფხიზელი და უერთგულესი ჯარისკაცი, ვისაც აბსოლუტურად უანგაროდ უყვარდა მშობელი ხალხი და ქვეყანა. სხვა ლექსში ასე მიმართავს სამშობლოს: „მიყვარხარ, მაგრამ ეს სიყვარული სამაგიეროს არ ითხოვს შენგან!“ - ნამდვილად ასე იყო, გაღებული სიკეთისა თუ უშურველობისთვის, სამაგიერო არასდროს მოუთხოვია არათუ სამშობლოსგან, არც არავისგან ქვეყნიერებაზე. უანგაროდ დაიფერფლა კეთილის ქმნასა და სიყვარულში. ვახტანგ ხარჩილავას ხმა, როგორც ფიქრიანი და სიტყვაში ჩასახლებული შემოქმედისა, ახლის ძიების მასაზრდოებელი წყარო აღმოჩნდა თავისი თაობის ახალგაზრდებიათვის. სევდისა და მარტოობის მისეული პოეტიზება განსაკუთრებულად თვალშისაცემი და ლიტერატურულად ფასეული გახლდათ, მითუფრო ასეთი ოსტატობითა და მაღალესთეტიკურობით აღქმული და გადმოცემული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც 60-იან წლებში ოთარ ჭილაძემ, 70-იან წლებში - ბესიკ ხარანაულმა, 80-იან წლებში კი ვახტანგ ხარჩილავამ მიმართულება განუსაზღვრეს ქართული პოეზიის მდინარებას და თავისუფლება და სითამამე გაიხადეს უმთავრეს საარზოვნო მოტივად. ვახტანგ ხარჩილავა მოვლენების შუაგულში ტრიალებდა მუდამ და სწორედ ასეთი აქტიურობის გამოხატულება გახლდათ მისი პუბლიცისტური ღვაწება და პირუთვნელი დამოკიდებულება ყოველი ნეგატიურის მიმართ. ცალკე საუბრის თემაა მისი რედაქტორობა და პროფესიონალური სიმაღლე ამ მიმართულებით. დიახ, გამორჩეული წერის მანერა და მართალი სიტყვის მსახურება იმთავითვე შეუმჩნეველი არ დარჩენია მკითხველს და ეროვნული მოძრაობის აღზევებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომმა წლებმა ახალი ვახტანგ ხარჩილავა დაგვანახა. მისი ბასრი კალამი, როგორც ლიტერატურული კრიტიკის, ისევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებით გამორჩეული და საყურადღებო გახლდათ. ამიტომაც უწევდნენ ანგარიშს ყველგან და გულისყურით ეკიდებოდნენ მის რჩევებსა თუ ძახილისნიშნებით გამოხატულ გულისტკივილს. ყოფიერების დრამატიზმისთვის თვალი არასდროს მოუხუჭავს, კალამი არასდროს დაბლაგვებია. მუდამ ბრძოლასა და პაექრობაში მყოფი მეგობრებს სამარადისოდ უძლეველი გვეგონა, მაგრამ უკურნებელმა სენმა წაგვგვარა და დაგვიტოვა დიდი სიცარიელე, სევდა და ტკივილი. და წავიდა ჩვენგან უდროოდ პოეტი და მოქალაქე, მეუღლე, მამა და მეგობარი - დრამატული მაღლიერებით, უბლზე ღარებით, მისეული ჩუმღიმილითა და სამშობლოს სიყვარულით მოპირთავებული ღირსეული ქართველი. ასევე ჩუმად დაიმკვიდრა მარადისობა, რომელსაც ბეჭდად მისივე თვითნაბადი ნიჭიერება აზის... სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, სანათესაოს და სრულიად საქართველოს! ნათელი დაგადგეს, ძვირფასო მეგობარო, საქართველოსთვის გულგახსნილო უშურველო კოლხო!

ლაშა გვასალია,
მერაბ ჩუხუა, გური ოტობაია,
მურმან ზაქარაია, წუგზარ ანთელავა,
ჯემალ ფონია, დათო შამუგია

...და სიკვდილშიაც ცოცხალი დარჩა...

„სიკვდილთან ერთად სიკვდილიც ქრება და მასთან კვდება სიკვდილის შიშიც...“ — ეს სიტყვები ვახტანგ ხარჩილავას ლექსიდანაა. ახლა მან უკვე დანამდვილებით იცის, კვდება თუ არა სიკვდილის შიში სიკვდილთან ერთად...

ორმოცი დღე შესრულდა, რაც ბატონი ვახტანგი ჩვენ გვერდით აღარ არის. დასრულდა ჩვენი მეგობრობაც, რომელიც ჯერ კიდევ შორეულ 80-იანებში დაიწყო მწერალთა კავშირიდან...

როგორც რედაქტორი კი 2012 წელს გავიცანი და სულ სხვა მხრიდან დავინახე, როგორც მზრუნველი და ყველას ჭირისა და სიხარულის მოზიარე... უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისი, რადგან ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მომცა.

ვახტანგ ხარჩილავას უყვარდა თავისი და ჩვენი საქართველო;

ფიქრობდა და წუხდა თავისი და ჩვენი სამშობლოს ბედზე;

წერდა მწარე სიმართლეს და ეძიებდა გზებს თავისი და ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად;

იყო პირდაპირი და შეუპოვარი;

სწორად აფასებდა სიტუაციას და შეეძლო სწორი პროგნოზების გაკეთება;

უყვარდა ადამიანები და ადამიანებიც სიყვარულით პასუხობდნენ;

ყველაზე ხშირად მისგან გაიგონებდით: ჩემო კარგო, ძირფასო, საყვარელო...

იყო ნამდვილი პოეტი;

პატრიოტი;

ადამიანი და... სიკვდილისაც არ ეშინოდა.

„ცამ მიმიზიდა და მიმიახლა...“, „...და სიკვდილშიაც ვიყავ ცოცხალი...“, „სიკვდილი ისე ტკბილი ყოფილა...“, „სიკვდილი მხოლოდ მიჯნა ყოფილა — ორი სიცოცხლის შუა მდებარე...“ — ეს სტრიქონები ვახტანგ ხარჩილავას პოეზიიდანაა.

წერილების მკაცრი ტონის მიუხედავად, ვახტანგ ხარჩილავა ჰუმანისტი იყო. მისი პუბლიცისტური წერილები ახლობელი და გასაგები იყო ყველა თაობის მკითხველისთვის. ისინი ნებისმიერ ჩვენგანს აიძულებდა, დავფიქრებულიყავით არსებულ რეალობაზე, სხვა თვალით დაგვენახა მოვლენები და ადამიანები.

ვახტანგ ხარჩილავას უზარმაზარი პოეტური და პუბლიცისტური მემკვიდრეობა დარჩა. დარწმუნებული ვართ, მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი და შვილები — დავითი და გვანცა, რუდუნებით აკინძავენ ამ განძს და გამოსაცემად მოამზადებენ, ხოლო ჩვენს თანამემამულეთა შორის აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, ვინც იზრუნებს იმაზე, რომ ვახტანგ ხარჩილავას ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ დღის სინათლე იხილოს.

ძალიან დაგვაკლდა ჩვენ და მთელ საქართველოს ვახტანგ ხარჩილავას ნაწერები, გაერთიანებისკენ მისი მუდმივი მოწოდებები, ხოლო იმედი იმისა, რომ საქართველო გადარჩება, მუდამ ჩვენთან იქნება...

ჩვენ აქ დავრჩით, მიწაზე, ვახტანგ ხარჩილავა კი „ცამ მიიზიდა და მიიახლა...“, და „სიკვდილშიაც ცოცხალი დარჩა...“

ბელა გველესიანი

როგორ მოვიქცეთ, ნამალი სანამლავად რომ არ იქცეს

ვაგრძელებთ საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან

სინთეზური ვიტამინები კიბოს განვითარებას უწყობს ხელს?!

ჩვენ ვიტამინებს უკონტროლოდ, დიდი რაოდენობით ვიღებთ, რადგან ჩაგვაგონეს, რომ ისინი სასარგებლოა და რაც უფრო მეტს მივიღებთ, მით უკეთესი. ეს ასეც გახლავთ, თუ საქმე ნატურალურ, ბუნებრივ საკვებში შემავალ ვიტამინებს ეხება. სინთეზური ვიტამინები კი ჯანმრთელობისთვის საშიშია. ისინი ხშირად ტოქსიკურ რეაქციებს იწვევენ და მათი დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება ონკოლოგიური და შარდკენჭოვანი დაავადებები გამოიწვიოს. ამ დროს ნატურალური ვიტამინები არავითარ თანმდევ რეაქციას არ ამჟღავნებს. უნდა გითხრათ, რომ ვიტამინები ჩვენს ორგანიზმში არ წარმოიქმნება. გამონაკლისია, მხოლოდ D ვიტამინი. ამის გამო ისინი კვების შეუცვლელ ფაქტორს წარმოადგენენ. აუცილებელია მათი საკვებთან ერთად მიღება. სინთეზური ვიტამინებით გატაცებამ შეიძლება ნაადრევი სიკვდილის რისკი გაზარდოს. ადამიანები, რომლებიც ანტიოქსიდანტების კომპლექსებს იღებენ, სინამდვილეში ორგანიზმს ხელს უშლიან დაცვის ბუნებრივი ფუნქციის ჩართვაში, რის გამოც ნაადრევი სიკვდილის რისკი 16%-მდე იზრდება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გვერდითი მოქმედება მხოლოდ სინთეზურ კომპლექსებს ახასიათებთ და არა ბუნებრივ — ცოცხალი ბოსტნეულითა თუ ხილით მიღებულ ვიტამინებს. პოლივიტამინების აბები არათუ გვიცავს დაავადებებისგან, არამედ ზრდის ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკს. მაგალითად, ბეტა-კაროტინი A ვიტამინთან ერთად სიკვდილიანობას 30%-ით ზრდის, ხოლო E ვიტამინთან ერთად — 10%-ით. A ვიტამინის გაზრდილი დოზის გამოყენება განსაკუთრებით საშიშია ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის, რადგან ისინი სიმსივნური უჯრედების გამრავლების სიჩქარეს ზრდიან. კიბოს პროფილაქტიკა ახალი ხილით და ბოსტნეულით უფრო ეფექტურია, ვიდრე მსგავსი ნივთიერებების მიღება სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით.

არ მიიღოთ მედიკამენტები ჩაისთან და ყავასთან ერთად!

კოფეინის შემცველი პრეპარატების — ჩაი, ყავა კომბინირება არ შეიძლება სხვადასხვა აღმგზნებ საშუალებებთან ერთად. რეკომენდებული არ არის ყავის შეთავსება ორალურ კონტრაცეპტივებთან, ასევე, სედატიურ საშუალებებთან, რადგან ამ შემთხვევაში მან შეიძლება ზედმეტი აღგზნება და უძილობა გამოიწვიოს. რაც შეეხება ჩაის, იგი უნდა შეიზღუდოს ნებისმიერი სამკურნალო პრეპარატების მიღებისას.

(გაგრძელება იქნება)

ვის დარჩება ელიზაბეთ II-ის ქონება

საზოგადოებაში განსჯის ერთ-ერთი აქტიური თემა ყოველთვის იყო სამეფო ოჯახის ფინანსები. ძვირფასი სასახლეები და უზარმაზარი მამულები, ძვირადღირებული საიუველირო სამკაულები, ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშები და სხვა ფასეულობები, რომლებსაც სამეფო ოჯახი ფლობს. მაგრამ რა ქონებას ფლობს სამეფო ოჯახის თითოეული წევრი?

დედოფალ ელიზაბეთ II-ის გარდაცვალებამ ფარდა ახადა ამ საიდუმლოს და ახლა უკვე ცნობილია, რა ქონებას ფლობდა დედოფალი და ვის დარჩება მისი მემკვიდრეობა.

რა ქონებას ფლობდა დედოფალი?

დედოფალი სისტემის ნაწილი იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა. სამეფო ოჯახი ყიდულობდა და მემკვიდრეობით იღებდა ქონებას, ტიტულებს, კაპიტალსა და მთელ ქვეყნებსაც კი. სამეფოს სიმდიდრე იზრდებოდა და იზრდებოდა. ასწლეულების განმავლობაში რთული გახდა პირადი კაპიტალის სამეფო ქონებისგან გამიჯვნა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის სიმდიდრე 78 მლრდ დოლარად ფასდება. აქტივებში შედის არა მხოლოდ ძვირადღირებული უძრავი ქონება, არამედ არამატერიალური ფასეულობები, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, სოციალური ქსელები და სხვა ასპექტები, რომლებისგანაც მონარქიის „ბრენდი“ შედგება. **Forbes**-მა გამოთვალა, რომ დედოფლის პირადი ქონება 500 მლნ დოლარს შეადგენს. ეს სოლიდური თანხაა, მაგრამ ქვეყანაში ბევრად უფრო მდიდარი მოქალაქეებიც ცხოვრობენ. ეს თავად დედოფლის აქტივებია. რომელშიც მარკების ფრიად შთამბეჭდავი კოლექციაც შედის.

დედოფალი ფლობდა უძრავი ქონების რამდენიმე ობიექტს, რომელთა შორის იყო ამბერდინში, შოტლანდიაში მდებარე ბელმორალის ციხესიმაგრე (რომლის ღირებულება 140 მლნ დოლარია) და სოფლად მდებარე სანდრინგენის სახლი (65 მლნ დოლარი). ქონების დანარჩენი ნაწილი დედოფალს კი არა, სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა, რაც ნიშნავს, რომ კარლ III მემკვიდრეობით დედის ქონების დიდ ნაწილს მიიღებს.

საიდან შოულობს სამეფო ოჯახი ფულს?

ტრადიციულად, ბრიტანელი მონარქები თავის ქონებასაც და სამეფოს კაპიტალსაც ტახტის მემკვიდრეს გადასცემენ. ასე იყო, მაგალითად, დედა-დედოფლის შემთხვევაშიც. ელიზაბეთის დედა ორი ათეული წლის წინათ გარდაიცვალა. მან მთელი თავისი ქონება — 70 მლნ დოლარი, უფროს ქალიშვილს უანდერძა. მასვე დაუტოვა, ასევე, ბუკინჰემის სასახლე და ყველაფერი, რაც სასახლეშია — ხელოვნების ბევრი ნიმუში, საიუველირო ნაკეთობები, ფაბერჟეს კვერცხები და სხვა ძვირადღირებული ნივთი. ასევე, უძვირფასესი ჯიშის ცხენები, რომლებიც რამდენიმე საჯინიბოში ჰყავთ გადანაწილებული. ეს ყველაფერი სამეფო ოჯახს ეკუთვნის და არა მეფეს პირადად. ნებისმიერ ბრიტანელს ან ქვეყნის ნებისმიერ სტუმარს

შეუძლია ეწვიოს რეზიდენციას, როგორც ტურისტი.

აქ ჩნდება კანონიერი კითხვა: თუ ეს ყველაფერი ბრიტანეთის ოჯახის წევრებს არ ეკუთვნის, მაშ, სად შოულობენ საარსებო თანხებს? სამეფო ოჯახის წევრების შემოსავლის წყარო გადასახადებია. სამეფო ოჯახი არა მარტო ხელფასს და პირადი ხარჯებისთვის საჭირო თანხებს იღებს. ფინანსები სპეციალური ფონდის **The Crown Estate**-ს გავლით გაიცემა, რომელიც მმართველი მონარქის საკუთრებას წარმოადგენს.

სუვერენული გრანტის საშუალებით საგადასახადო შენატანები გადის. თანხები დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრს გადაეცემა. ის განსაზღვრავს თანხების პროცენტს, რაც სამეფო ოჯახს უნდა გადაეცეს. ამის შემდეგ დედოფალი ან მეფე ამ თანხას ოჯახის წევრებს შორის ანაწილებს. ფინანსების რაოდენობა მათ „ხელფასზეა“ დამოკიდებული, სამეფო ოჯახის წევრობა ხომ მუდმივი სამუშაოა.

ძირითადად, სუვერენული გრანტის ოდენობა 15-25 პროცენტია. მაგალითად, 2020 წელს, **Crown Estate**-მ 700 მლნ დოლარზე მეტი გამოიმუშავა, მოგებამ კი 475 მლნ დოლარს გადააჭარბა.

Forbes-ის მონაცემებით, უკანასკნელი სუვერენული გრანტის ოდენობამ, რომელიც სამეფო ოჯახის წევრებმა მიიღეს, დაახლოებით 120 მლნ დოლარი იყო.

მომჭირნე ელიზაბეთი

გარდაცვლილი დედოფლის ელიზაბეთ II-ის ნებით, მთელი მისი ქონება და აქტივები მის ვაჟს, მეფე კარლ III-ეს გადაეცემა. ისევე, როგორც მისმა დედამ, ელიზაბეთ II-მაც ბუკინჰემის სასახლე და ყველაფერი, რაც იქ არის, ასევე, კერძო მამულები, როგორიცაა ბალმორალი, თავის მემკვიდრეს უანდერძა.

სამეფო ოჯახი აურაცხელ სიმდიდრესთან და ფანტასტიკურ ფუფუნებასთან ასოცირდება. ელიზაბეთ II არასოდეს ყოფილა მფლანგველი და ცდილობდა, შვილებისთვისას ჩაენერგა, რომ ხელმომჭირნედ ეცხოვრათ. დედოფალი ხშირად მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, იცვამდა ერთსა და იმავე სამოსს და ვახშმად სადილზე მორჩენილი კერძის მირთმევაზეც არ ამბობდა უარს. დედოფლის შვილიშვილებიც იაფი ავიაკომპანიების თვითმფრინავებით დაფრინავდნენ, ხოლო საერთო საცხოვრებლებში მათ ოთახებში იაფფასიანი ავეჯი იდგა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის ღონისძიება

21 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ ვაკის ქალთა ორგანიზაციამ, კლინიკა „პრემიუმ მედსერვისთან“ თანამშრომლობით, 30 სოციალურად დაუცველ ქალბატონს გადავეცით 300 ლარიანი სამედიცინო ვაუჩერი, რომელსაც ეს ქალბატონები გამოიყენებენ როგორც თერაპევტისა და სხვადასხვა პროფილის ექიმების მომსახურებისთვის, ასევე ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოკრინოლოგიური, კარდიოლოგიური და სხვა კვლევებისთვის.

მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისი გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ვინაიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ქალბატონების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მსგავსი ტიპის ღონისძიებებს მომავალშიც განვახორციელებთ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კლინიკა „პრემიუმ მედსერვისი. premium Medservice“-ის დირექტორს, ბატონ მერაბ ტატიშვილს, კლინიკის წარმომადგენელს, ლანა ქიტუაშვილს და მათ გუნდს, გაწეული უანგარო თანამშრომლობისათვის.

თითოეულ ქალბატონს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: ბელა გველესიანი
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი) 555 33-44-14; თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი: 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია); 555 33-44-14.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99